ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ოთხშაბათი, 19 ოქტომბერი, 2016 №248 (7174) ფასი: 50 თეთრი

## ტრისტან წითელაშვილი: „დათა ახალაიამ ნავთლუღის სპეცოპერაციის დროს ახალგაზრდას ესროლა“



გვ.5

19 ოქტომბრიდან
ტიმურ ვერმესი
ის კვლავ აქ არის
ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი




# უსუფაშვილი: „ნაციონალებისთვის ხმის მიცემა ჩემთვის ხარაკირი იქნება“



## „პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობის ქონა ცუდია“

გვ.4

## „სააკაშვილი ურჩ თანაპარტიელებზე შურისძიებას აპირებს“

### ნიკოლოზ მჟავანაძე: „ელოდეთ ფარულ ჩანაწერებსა და თავდასხმებს“

გვ.2



„გიგა ბოკერია სხვა ნაციონალებისგან პრაგმატული აზროვნებით განსხვავდება. ის კარგად ხვდება, რომ არ ღირს სააკაშვილისთვის პოლიტიკური სამარეში ჩაყოლა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მიჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ გივი თარგამაძის წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტის უკან სააკაშვილი დგას"

## სოსო ცინცაძე: „საკონსტიტუციო უმრავლესობა დემოკრატიისთვის დამიზნებული ლულაა“

გვ.3



„რა უნდა სამოქალაქო აქტივისტს მმართველი პარტიის რიგებში?!"

„ჩვენმა საზოგადოებამ უკვე მერამდენედ დაამტკიცა, რომ ოთხ წელიწადში ერთხელ ბრბოდ იქცევა“

## ვახტანგ მაისაია: „სოხუმში ტერაქტის კვალი ისლამურ სახელმწიფოსთან მიდის“




გვ.4

## ანზორ აბრალავა: „დეპუტატის იმუნიტეტი და პარტიების დაფინანსება გასაუქმებელია“

გვ.4



### „სააკაშვილი ჩამოწერილია“

„ჩემი არაერთგზის გამოთქმული პროგნოზები გამართლდა. ერთადერთი, მოველოდი, რომ დამნაშავე ნაცმოძრაობას ნაკლები მხარდაჭერა ექნებოდა. ამ პარტიამ საკმაოდ ბევრი ხმა მიიღო. ამას ვუკავშირებ ტელემედიის ტენდენციურობას. თითქმის ყველა არხი ნაცმოძრაობაზე მუშაობდა. ამ პარტიის წევრების გარდა, ყოველდღე ყველა გადაცემაში სააკაშვილის მომხრეები ისხდნენ. შეიძლება, სადაც გადართავ, ყველგან ბაია პატარაია იყოს? სხვა საზოგადოება ქვეყანაში არ არსებობს?"



## კახა ჩარგეიშვილი: „ქვეყანაში ლარის კურსის განმსაზღვრელი პოლიტიკა არ არსებობს“

გვ.6

ISSN 1987-9385

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# „სააკაშვილი ურჩ თანაპარტიელებზე შურისძიებას აპირებს“




## ნიკოლოზ მჟავანაძე: „ელოდეთ ფარულ ჩანაწერებსა და თავდასხმებს“

შორენა მარსაგიშვილი

**ვის ემუქრება მიხეილ სააკაშვილი, რატომ უნდა აიკრძალოს უცხოეთიდან არასამთავრობოების დაფინანსება, რატომ არის სახიფათო ერდოღანის განცხადებები, ვის უნდა გაუუქმდეს საქართველოს მოქალაქეობა? – ამ თემებზე „ახალ თაობას" უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრება.**

**ნიკოლოზ მჟავანაძე:**

– რამდენიმე თვის წინ მე სწორედ „ახალ თაობასთან“ საუბარში ვთქვი, რომ მიხეილ სააკაშვილი თავის გუნდს აღარ ენდობოდა და ამიტომაც შემოიყვანა თავისი ცოლი პოლიტიკაში. თავად სანდრა რულოვსს საერთოდ არ აინტერესებდა პოლიტიკა და ნაცმოძრაობა. ამავე მიზეზით დაბრუნდა საქართველოში ოდესის გუბერნატორის მარჯვენა ხელი ლევან ვარშალომიძე. დიდი მცდელობის მიუხედავად, სააკაშვილმა ცოლის, ვარშალომიძის, მინაშვილისა და წიკლაურის დახმარებით პარტიაში სიტუაცია ვერ გააკონტროლა. შესაბამისად, გამარჯვება გიგა ბოკერიას ფრთას დარჩა.

***– გამარჯვებაში რას გულისხმობთ, ნაცმოძრაობის ნაწილი პარლამენტში შესვლაზე რომ დათანხმდა?***

– გიგა ბოკერია სხვა ნაციონალებისგან პრაგმატული აზროვნებით განსხვავდება. ის კარგად ხვდება, რომ არ ღირს სააკაშვილისთვის პოლიტიკურ სამარეში ჩაყოლა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მიჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ გივი თარგამაძის წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტის უკან სააკაშვილი დგას. ბოკერიას დაჯგუფებისა არ იყოს, თარგამაძეც ეურჩებოდა ოდესის გუბერნატორს.

***– ეს განხეთქილება არჩევნების შემდეგ დაიწყო. თარგამაძეს ტერაქტი არჩევნებამდე მოუწყვეს.***

– როგორც ჩანს, დაპირისპირება ნაცმოძრაობაში არჩევნებამდე ბევრად ადრე დაიწყო. არჩევნებამდევე იყო ცნობილი, ვინ იყო უშუალოდ მისი გუნდის წარმომადგენელი. არც ბოკერია და არც თარგამაძე ამ გუნდში არ შედიოდნენ.

ბოკერიას გადაწყვეტილებაზე სააკაშვილი ძალიან გამწარებულია, ისეთი გამწარებულია, ცეცხლებს ყრის და ამ ამბავს ასე არ დატოვებს. მე არ გამოვრიცხავ, რომ მან ნაციონალური მოძრაობის ურჩ ლიდერებს სამაგიერო გადაუხადოს. ეს ხალხი პოლიტიკის სათავეებში ექსპრეზიდენტის დახმარებით აღმოჩნდა და მათ ღალატს ასე იოლად არ აპატიებს. მის შურისძიებას ორმაგი დატვირთვა ექნება – თან სამაგიეროს გადაუხდის ურჩებს, თანაც არსებულ ხელისუფლებას დააბრალებს მომხდარს.

სააკაშვილს ძალიან უყვარს ტერაქტები და არ გამოვრიცხავ, რომ ნაციონალებზე მომავალში რაიმე თავდასხმა მოხდეს. არ არის გამორიცხული, რაიმე სხვა მეთოდებსაც მიმართოს.

***– მაგალითად, რა მეთოდებს?***

– მას თან წაღებული აქვს უამრავი ვიდეომასალა. ფარული თვალთვალი და მიყურადება მხოლოდ ოპონენტების მიმართ კი არ ხორციელდებოდა, სააკაშვილი თავისი თანაგუნდელების ფარულ გადაღებასაც აწარმოებდა და მათზე უამრავი კომპრომატი აქვს. არ გამოვრიცხავ, რომ მალე ურჩ ნაციონალებზე სკანდალური კადრები გავრცელდეს.

***– თუ ეს კადრები აქვს, სანამ ურჩობას გაუბედავდნენ, მანამდე რატომ არ გამოუქვეყნა ან გამოქვეყნებით არ დაემუქრა?***

– მისი ნების წინააღმდეგ ძირითადად ახალი სახეები წავიდნენ. მათზე სააკაშვილს კადრები ნაკლებად აქვს.

***– ბოკერია ახალი სახე ნამდვილად არ არის.***

– ბოკერია მართლა არ არის ახალი სახე, მაგრამ, იმდენად კრიტიკული მომენტი იყო, რომ მან სააკაშვილის წინააღმდეგ წასვლა არჩია. მას ადრეც მოუვიდა სააკაშვილთან უთანხმოება. ეს შარშან მოხდა, როცა ნაციონალები მორიგი აქციისთვის ემზადებოდნენ. ოდესის გუბერნატორმა ბოკერიას მოსთხოვა, ბევრი ხალხი გამოიყვანეო. ამაზე ბოკერიამ კარგად შეუკურთხა და უთხრა, თავად ჩამოდი და გამოიყვანეო.

ნაცმოძრაობაში დიდი დაპირისპირებაა და ამის შედეგებს ძალიან მალე ვიხილავთ. სამწუხარო ფაქტი ის არის, რომ დაშლის პირას მისული ნაცმოძრაობის გადარჩენას თავგამოდებით ცდილობს არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი. 50-მდე არასამთავრობო ორგანიზაციამ ხელი მოაწერა განცხადებას, სადაც ისინი ხალხს მოუწოდებენ, მეორე ტურში მხარი ნაცმოძრაობის კანდიდატებს დაუჭირონ. მათი თქმით, ეს იმიტომ უნდა გაკეთდეს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა არ მიიღოს.

ამ განცხადებას ის ხალხი აწერს ხელს, რომელსაც 9 წლის განმავლობაში არასდროს გასჩენია პროტესტი იმის გამო, რომ ნაცმოძრაობას საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰყავდა. რაღაც არ მახსოვს, მათ ქუჩაში ხალხის დახვრეტა ან მიტინგების დარბევა გაეპროტესტებინათ.

ვეკითხები ამ არასამთავრობოებს – იმის შიშით, რომ „ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა არ მიიღოს, შემთხვევით ნაციონალები ხომ არ დავაბრუნოთ ხელისუფლებაში?! რა უფლებით აკეთებენ ასეთ მიმართვებს ასო-ები! ეს არის ხალხის არჩევანი და ამ არჩევანს ყველამ უნდა სცეს პატივი.

***– თქვენ ვერანაირ საფრთხეს ვერ ხედავთ იმაში, რომ „ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა ექნება?***

– მე მიმაჩნია, რომ ეს კარგი იქნება. აქამდე ხელისუფლება ამბობდა, რომ საქმეს იმიტომ ვერ აკეთებს, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა არ აქვს და საჭირო კანონების მიღებაში ნაციონალები უშლიდნენ ხელს. ახლა ბურთიც მათია და მოედანიც. ამის მერეც თუ ვერაფერს გააკეთებენ, ყველაფერზე მათ მოუწევთ პასუხის გაცემა.

მეც მიმაჩნია, რომ კარგი იქნებოდა, პარლამენტი მრავალპარტიული ყოფილიყო, მაგრამ სხვა შედეგი დადგა და არცერთ არასამთავრობოს არა აქვს უფლება, ხალხის ნაციონალების მხარდაჭერისკენ მოუწოდოს.

ყველაზე ცუდი ისაა, რომ ამ ასო-ებსა და ნაცებს ზოგიერთი პარტიის ლიდერიც აჰყვა. არადა, ის ხალხი ჭკვიანი მეგონა. ასეთი განცხადებებით ისინი პოლიტიკურ ხარაკირის იკეთებენ. საკონსტიტუციო უმრავლესობის მქონე „ოცნება“ უფრო დიდი წნეხის ქვეშ იქნება და მათ ძალიან ბევრი პრობლემა შეექმნებათ.

***– რა პრობლემები?***

– ძალიან ბევრი ადამიანი და მათ შორის მეც ხელისუფლებისგან ნაციონალური მოძრაობის გაუქმებას ვითხოვთ. ჩვენ ასევე მიგვაჩნია, რომ უცხოეთიდან არასამთავრობოების დაფინანსება უნდა აიკრძალოს. ამის გაკეთება აუცილებელია, მით უმეტეს ახლა, როცა საქართველოს უამრავი პრობლემა შეიძლება შეექმნას.

ჩვენი პოლიტიკოსების დიდ ნაწილს ყურადღების გარეშე დარჩა

გაგრძელება მე-3 გვერდზე

## ქეთევან ქოჩორაშვილი: „ნიკა მელიამ ნაციონალური მოძრაობიდან გამრიცხა“



ნაციონალური მოძრაობის წევრ ქეთევან ქოჩორაშვილ განცხადებით, ნიკა მელიას გადაწყვეტილებით, ის პარტიიდან გარიცხეს.

ამის შესახებ ინტერპრესნიუსს თავად ქოჩორაშვილმა განუცხადა.

ქოჩორაშვილის თქმით, ირაკლი აბესაძის ნაცვლად, სიის მიხედვით, საკრებულოს წევრი სწორედ ის უნდა გამხდარიყო, თუმცა მელია უარის თქმას აიძულებდა.

როგორც ქოჩორაშვილმა განმარტა, მელიას გადაწყვეტილებით, ის გარიცხეს პარტიიდან, ამოიღეს სიიდან და, შესაბამისად, ვერ შევა საკრებულოშიც.

– ნიკა მელიამ მოითხოვა, რომ უარი მეთქვა საკრებულოს წევრობაზე და ჩემ ნაცვლად საკრებულოში შესულიყო დავით ავალიანი, რომელსაც აქვს სამართლებრივი პრობლემები. მელია მიიჩნევს, რომ ავალიანი თუ საკრებულოში მოხვდება, ეს იქნება ერთგვარი იმუნიტეტი მისთვის. თუმცა, მე უარი ვუთხარი და განვაცხადე, რომ მსურს საკრებულოს წევრობა. ამის შემდეგ მელიამ მიიღო ერთპიროვნული გადაწყვეტილება და გამრიცხა პარტიიდან, – განაცხადა ქოჩორაშვილმა.

ნაციონალური მოძრაობა დედაქალაქის საკრებულოში 8 დეპუტატით არის წარმოდგენილი. ქოჩორაშვილი სიაში მე-9 ნომერია, ავალიანი კი – მე-15. ქოჩორაშვილის ინფორმაციით, ავალიანამდე სიაში მის შემდგომ არსებული პირები საკრებულოს წევრებად საერთოდ არ განიხილებიან.

ნაციონალური მოძრაობის პრესსამსახურში აცხადებენ, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით ამ ეტაპზე ინფორმაციას არ ფლობენ.

## ირაკლი კობახიძე: „საკონსტიტუციო უმრავლესობაში საფრთხე არ არსებობს“




„ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის ირაკლი კობახიძის შეფასებით, არანაირი საფრთხე საკონსტიტუციო უმრავლესობაში არ არსებობს.

ამის შესახებ კობახიძემ პროდასავლური პოლიტიკური პარტიებისადმი სამოქალაქო საზოგადოების ნაწილის მიმართვის კომენტირებისას განაცხადა.

– ეს არის ნაციონალური მოძრაობის მიერ დაგეგმილი იაფფასიანი კამპანია, რომელიც არსებითად რუსთავი 2-ის მეშვეობით ხორციელდება. ამაში ჩართეს ნაციონალურ მოძრაობასთან პირდაპირ ასოცირებული ადამიანები, რომლებიც სამოქალაქო სექტორის სახელით გამოდიან.

რეალურად ამ კამპანიას არა აქვს საფუძველი. არანაირი საფრთხე საკონსტიტუციო უმრავლესობაში არ არსებობს, პირიქით, ჩვენ დავამტკიცეთ გასული 4 წლის განმავლობაში, რომ მხოლოდ წინ წაყვანა გვსურს და შეგვიძლია ამ ქვეყნის. ეს დაამტკიცა ჩვენმა პირველმა პრემიერმა, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა, როდესაც სწორედ მისი ინიციატივით შეიზღუდა პრემიერ-მინისტრის კომპეტენციები 2013 წელს.

გახსოვთ თქვენ, ძალიან მძიმე მემკვიდრეობა დაგვიტოვა მიხეილ სააკაშვილმა. მთლიანად მასზე იყო მორგებული კონსტიტუცია და ასეთ პირობებში, სწორედ ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით, შეიკვეცა მისი კონსტიტუციური უფლებამოსილებები.

ჩვენ კიდევ ერთხელ დავადასტურეთ ის, რომ მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუციის დახვეწა და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების შეუქცევადი პროცესის უზრუნველყოფა არის ჩვენი ამოცანა, – განაცხადა კობახიძემ.

სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი მიმართვას ავრცელებს, რომლითაც პროდასავლურ პოლიტიკურ პარტიებს არჩევნების მეორე ტურში ოპოზიციის კანდიდატების მხარდაჭერისკენ მოუწოდებს.

გავრცელებულ მიმართვაში აღნიშნულია, რომ არსებობს საშიშროება ქვეყანაში ერთპარტიული მმართველობა დამკვიდრდეს, ამის თავიდან ასაცილებლად კი მათ მხარი უნდა დაუჭირონ ოპოზიციას.

მიმართვის ავტორების მოსაზრებით, იმ შემთხვევაში, თუ „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობას მოიპოვებს, არსებობს საშიშროება, ქვეყანამ დემოკრატიული პრინციპებიდან გადაუხვიოს.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სოსო ცინცაძე: „საკონსტიტუციო უმრავლესობა დემოკრატიისთვის დამიზნებული ლულაა“

## „ჩვენმა საზოგადოებამ უკვე მერამდენედ დაამტკიცა, რომ ოთხ წელიწადში ერთხელ ბრბოდ იქცევა“

ნათია ხურცილავა

**არასამთავრობო სექტორის ნაწილმა ოპოზიციურ პარტიებს მოუწოდა, რომ არჩევნების მეორე ტურში მხარი დაუჭირონ არა სახელისუფლებო კანდიდატს, არამედ ოპოზიციას, რათა მმართველი ძალის ხელში საკონსტიტუციო უმრავლესობა არ მოხვდეს.**

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ამ ინიციატივის შესახებ საუბრობს.

***— ბატონო სოსო, როგორ აფასებთ ამ ინიციატივას?***

— ეს ინიციატივა ისეთ მაღალ პოლიტიკურ კულტურას ითხოვს, რომ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი საზოგადოება ამისთვის მზად არ არის. მსგავსი ინიციატივები შესაძლებელია რელევანტური იყოს დასავლეთის, იაპონიის, ისრაელის ან სხვა რომელიმე ისეთი დემოკრატიული საზოგადოებისთვის, სადაც გადამწყვეტი პირადი კეთილდღეობა კი არ არის, არამედ საზოგადოებრივი ინტერესები, ქვეყნის ინტერესებია.

ჩვენს ქვეყანაში პირადი სიმპათია და ანტიპათია გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე სახელმწიფოს ინტერესები. ამიტომ მსგავსი მოწოდება პრაქტიკულად განუხორციელებელია, ფუჭი გასროლაა არასამთავრობოების მხრიდან. ჩვენმა საზოგადოებამ უკვე მერამდენედ დაამტკიცა, რომ ოთხ წელიწადში ერთხელ ბრბოდ იქცევა.

***— რამდენად რეალური საფრთხე შეიძლება იყოს ძალაუფლების ერთი პარტიის ხელში კონცენტრირება? იქნებ „ქართული ოცნების“ მართვის სტილი იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს?***

— მე ვთვლი, რომ ეს საფრთხეა. ვინც უნდა იყოს მართვის სადავეებთან, რადგან ძალაუფლება რყვნის და აბსოლუტური ძალაუფლება აბსოლუტურად რყვნის. რაც შეეხება იმას, რომ „ოცნების“ მართვის სტილი იძლევა თუ არა ამ საფრთხის წინაპირობას, გეტყვით: რა დონის საფრთხე შეიძლება იყოს, ეს უკვე მეორეხარისხოვანია. როგორც მინიმუმ, ძალიან სერიოზული რისკია, როგორც მაქსიმუმ, საფრთხეა.

## „რა უნდა სამოქალაქო აქტივისტს მმართველი პარტიის რიგებში?!“

როდესაც მთელი სახელისუფლო ვერტიკალი, ყველა ბერკეტი ერთი პოლიტიკური ძალის ხელშია, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ძალიან დიდი ცდუნება ჩნდება. ცდუნება ჩნდება იმის, რომ ჩვენ ვართ ყველაფერი, რომ მთავარია, ჩვენ გადავწყვიტოთ.

ნაციონალების დროს უმრავლესობის ლიდერმა მაია ნადირაძემ ოპოზიციას და საზოგადოებას ასე მიმართა: „ახლა ჩვენ ვართ ხელისუფლებაში და როგორც ჩვენ გვინდა, ისე გადავწყვეტთ“. მსგავსი ფრაზეოლოგია არის საფრთხის შემცველი არა მხოლოდ ქვეყნის დემოკრატიულად განვითარების, არამედ თავად იმ პოლიტიკური ძალისთვის, რომელიც ხელისუფლებაში იმყოფება.

ამ დროს ხელისუფლებას არ აინტერესებს, რას ფიქრობს ოპოზიცია, რას ფიქრობს არასამთავრობო სექტორი, საზოგადოება, თუნდაც მისი რიგითი ამომრჩეველი, რომელიც შეიძლება არ ეთანხმებოდეს რაღაც კონკრეტულ საკითხში სახელისუფლო გუნდს. იმ მომენტში ეს ყველაფერი მმართველი ძალისთვის მეორეხარისხოვნად ითვლება, რადგან მის ხელშია გაუჭრელი კოზირის კარტი.

***— ხომ შეიძლება წინა ხელისუფლების მაგალითი ახლისთვის გაკვეთილი გამოდგეს?***

— ამის თქმა რთულია. რაოდენ კარგიც უნდა იყოს ხელისუფალი, მას მაინც სჭირდება დამბალანსებელი, რომ ის არ მიუბრუნდეს ნებისმიერ ოპონენტს და არ უთხრას: ჩვენ მოგვცა ამომრჩეველმა ხმა და არა შენ, ჩვენ გვანდო ქვეყნის ბედ-იღბალი და არა შენ.

ეს სახიფათო რეალობაა ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. ჩვენ ხომ არ ვსაუბრობთ ამერიკაზე ან ევროპაზე, სადაც ერთი მინისტრის პატარა გადაცდომაც კი საყოველთაო განგაშის საფუძველი ხდება. მაგალითად, არჩევნების შემდეგ რაც ლარის კურსს დაემართა, ის რომ დასავლეთის ნებისმიერ ქვეყანაში მომხდარიყო, ამას აუცილებლად გადაჰყვებოდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ან ფინანსთა მინისტრი. ახლაც ხომ არ დააბრალებენ გარე ფაქტორებს?!

***— ოპოზიციურ პარტიებს უკვე ჰქონდათ გამოხმაურება ამ ინიციატივაზე და ისინი აღნიშნავენ, რომ თავიანთ ამომრჩეველს ამ მოწოდებით ვერ მიმართავენ.***

— ეს სწორი პოზიციაა ოპოზიციური პარტიების მხრიდან, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარიც კი იქნებოდა, რას ნიშნავს, რომ საკუთარ ამომრჩეველს მოუწოდო, მხარი დაუჭირო შენს ოპონენტს, ამ შემთხვევაში ნაციონალურ მოძრაობას.

ჩემთვის ყოვლად წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ მსგავსი მოწოდება გაეკეთებინათ, მაგალითად, რესპუბლიკელებს, ან თუნდაც თავისუფალ დემოკრატებს. კი გასაგებია, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა ნებისმიერი პოლიტიკური ძალის ხელში არის სახიფათო იარაღი, დემოკრატიისთვის დამიზნებული ლულა, მაგრამ ამის წინააღმდეგ ბრძოლა ხელოვნური გზით შეუძლებელია. მსგავსი მოწოდებებისთვის საზოგადოება უნდა იყო სათანადო დონეზე მომზადებული.

***— რამდენად იმსახურებს ნაციონალური მოძრაობა მსგავს მოწოდებას, მის ხელშიც ხომ ნახა საზოგადოებამ საკონსტიტუციო უმრავლესობა?***

— სავსებით სწორი და სამართლიანი შენიშვნაა. თანაც, აქ დგება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი.

***— კონკრეტულად?***

— ჩვენს საზოგადოებაში არიან ადამიანები, რომლებსაც ვერაფრით აიძულებს ვერავინ, რომ ხმა მისცენ ნაციონალურ მოძრაობას. ასეთები ერთეულები კი არ არიან, ასი ათასობით არიან. გამოდის, ამ ადამიანებს არჩევანის უფლებას უზღუდავენ, არადა ნებისმიერ ადამიანს, ვინც არ უნდა იყოს ის, აქვს არჩევანის უფლება, არათუ უფლება, ამ შემთხვევაში ვალდებულებაც კი.

***— თქვენ ამბობთ, რომ არასამთავრობოების მოწოდება უადგილო იყო?***

— გულახდილად რომ გითხრათ, ამ არასამთავრობოების ავტორიტეტიც ძალიან მაღალი არ არის და ეს სერიოზული პრობლემაა ქვეყნისთვის. როდესაც სამოქალაქო სექტორი პარლამენტში ან აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადაბარგდება, ეს ძალაუნებურად არასამთავრობო სექტორის დანიშნულებას და როლს ურტყამს.



რა უნდა სამოქალაქო აქტივისტს მმართველი პარტიის რიგებში?! გამოდის, რომ ძალიან ცუდი არასამთავრობო ყოფილა. მისი მთავარი ფუნქცია ხომ ხელისუფლების კონტროლია. იმ დროს, როდესაც უნდა აკონტროლოს, თვითონ ხდება ხელისუფლების ნაწილი. არც ერთ მსგავს მაგალითს ვერ ნახავთ დასავლეთში, ვერც ევროპაში და ვერც ამერიკაში.

***— ევროპული გამოცდილება როგორია საკონსტიტუციო უმრავლესობის?***

— ევროპაში ღმერთმა ნუ ქნას, რომ რომელიმე პარტიამ კონსტიტუციის შეცვლა მოითხოვოს. დე გოლი იყო ერთი გამონაკლისი. ამერიკაში ჯოჯოხეთი უნდა გაიარო, რომ კონსტიტუციაში ცვლილება შეიტანო. თითქმის წარმოუდგენელიც კია. ამიტომ არის ამერიკის კონსტიტუციაში სულ 27 ცვლილება შესული. ჩვენთან კი წინა ხელისუფლების პირობებში 40 ცვლილება იქნა შეტანილი სულ რაღაც ორ კვირაში. ლამის წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილად იქცეს კონსტიტუციის შეცვლა. დე გოლს კონსტიტუციაში ცვლილებები რეფერენდუმის გზით შეჰქონდა. თუ მაგარი ბიჭები არიან, რეფერენდუმზე გაიტანონ პრეზიდენტის არჩევის საკითხი.

ჩვენი საზოგადოების პრობლემა ასევე არის ის, რომ მინისტრი ვერ გრძნობს ანგარიშვალდებულებას საზოგადოების წინაშე. ეს მას ძვალსა და რბილში არ აქვს გამჯდარი, როგორც, მაგალითად, ფრანგ თუ ამერიკელ მინისტრს. მას არ აინტერესებს, მისი გადაწყვეტილება რა რეაქციას გამოიწვევს საზოგადოებაში.

როდესაც ძლევამოსილი კანცლერი ბისმარკი გერმანიის პარლამენტში იჯდა და ყველა მწვავე შეტევას იგერიებდა, 8 ათასი გამოსვლა ჰქონდა. რამდენჯერაც დაიბარებდნენ, იმდენი მირბოდა, მიუხედავად იმისა, რომ ის განაგებდა ყველაფერს გერმანიაში – საგარეო პოლიტიკას თუ საშინაოს და ამის დრო პრაქტიკულად არ ჰქონდა, მაგრამ ის ანგარიშვალდებულებას პირველ რიგში საკუთარი ხალხის წინაშე გრძნობდა.

ჩვენმა პარლამენტმა ორი-სამი მინისტრი ვერ მიიყვანა, ან თუ მიდიოდნენ, ქვორუმი ხელოვნურად იყო ჩავარდნილი და მათი მოსმენა ვერ ხერხდებოდა. ეს ძალიან ცუდი ფაქტებია დემოკრატიის გზაზე, მსგავსი „ილეთები“ დემოკრატიას არაფერში გამოადგება. როგორი პარლამენტიც გვაქვს, სწორედ ის ავტორიტეტი აქვს მინისტრებშიც. თქვენ რა გგონიათ, მოჭიდავეების, მკლავჭიდელების, მსახიობების პარლამენტს ხალხი მოწიწებით შეხედავს?!

***— მათ ხომ აირჩიეს?***

— დიახ, მაგრამ აქ სხვა ფაქტორები იყო წამყვანი, პიროვნებას კი არ ირჩევენ, არამედ პარტიას და მის ლიდერს, რომელსაც აქვს ავტორიტეტი.

# „სააკაშვილი ურჩ თანაპარტიელებზე შურისძიებას აპირებს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

თურქეთის პრეზიდენტ რეჯებ ტაიპ ერდოღანის განცხადება, რომელიც მან რიზეს უნივერსიტეტში გააკეთა. მანამდე ყოფილმა პრემიერმა დავითოღლუმ გააკეთა განცხადება, ოსმალეთის იმპერია უნდა აღვადგინოთო და ამ იმპერიის შემადგენლობაში ბათუმთან ერთად ოზურგეთიც შეიყვანა. ერდოღანმა კი თქვა, თურქეთი მხოლოდ ის დღევანდელი თურქეთი არ არისო. მან ჩამოთვალა ის ტერიტორიები, რომლებიც, მისი თქმით, თურქეთის ფარგლებს გარეთაა. ახსენა ბათუმიც. სტუდენტებს უთხრა, ბათუმისა და რიზეს ერთმანეთისგან დაშორება როგორ შეიძლებაო. ამათ გამჩენი არ ასვენებთ და აჭარას ვერაფრით ელევიან.

ეს არის საგანგაშო განცხადება და მაინტერესებს, როდემდე უნდა წაუყრუოს ჩვენმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ. ასეთი განცხადება რომელიმე რუს მაღალჩინოსანს რომ გაეკეთებინა, რუსული დროშები უკვე დამწვარი იქნებოდა.

***— თურქული დროშების დაწვას ითხოვთ?***

— არა, მე საგარეო საქმეთა სამინისტროსგან ვითხოვ სათანადო რეაგირებას. კეთილი ინებონ და გააგზავნონ ნოტა. თუ რადგან თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა, შენიშვნაც არ უნდა ვაკადროთ და ტერიტორიები თუ წაიღო, იქით მადლობა უნდა გადავუხადოთ? ასეთი რაღაცების მიყრუება სამშობლოს ღალატია და დღესვე უნდა მოხდეს ამაზე რეაგირება.

პრეზიდენტის ვადის ამოწურვამდე მიხეილ სააკაშვილმა უპატიებელი დანაშაული ჩაიდინა. მან გიულენის ხალხს, რამდენიმე ათას კაცს, საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა. ეს გიულენი თურქეთში გადატრიალების მოწყობას ცდილობდა და რატომ გვგონია, რომ საქართველოში უარესს არ იზამს! ჩემი აზრით, სასწრაფოდ უნდა მოხდეს ამ ხალხისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა.

***— რა საბაბით?***

— მათ სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობა კანონის გვერდის ავლით მიანიჭა. საუბარია 30.000 ადამიანზე. რამდენიმე წლის შემდეგ მათი რაოდენობა 100.000-მდე გაიზრდება და, როგორ გგონიათ, ისინი არ წამოაყენებენ პრეტენზიებს? და მერე რას ვიზამთ, ამერიკელების იმედად ვრჩებით, აგვისტოს ომის დროს პამპერსი და წყალი რომ გამოაგზავნეს? ახლა ამასაც არ გამოაგზავნიან.

ჭკუას ვერასდროს ვსწავლობთ. აფხაზეთი და სამაჩაბლო იმიტომ დავკარგეთ, რომ ნელ-ნელა ვთმობდით პოზიციებს. ახლაც ასე ხდება. ამ პროცესს ხელს უწყობენ არასამთავრობოები.

არასამთავრობოების ნაწილსა და უჩა ნანუაშვილს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები აფინანსებენ. ყველაზე სერიოზული დაფინანსება მოდის თურქეთიდან. ამიტომაც არის, რომ ეს პატივცემული ასო-ები და პატივცემული უჩა რელიგიური დაპირისპირების ინსპირირებას ცდილობენ. ისეთ სურათებს ხატავენ, თითქოს საქართველოში მუსლიმები იდევნებიან და ამ დროს ხმას არ იღებენ იმაზე, რომ ქართველ სასულიერო პირებს თურქეთის ტერიტორიაზე არ უშვებენ.

ამ ყველაფერზე კარგად უნდა დაფიქრდეს ხელისუფლება. არჩევნები გადაგორებულია და ახლა სხვა პრობლემებსაც უნდა მიეხედოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა თბილისიც დავკარგოთ. ამ საქმეში ხელისუფლებას პარლამენტს გარეთ დარჩენილმა ძალებმაც უნდა დაუჭირონ მხარი. ეს ყველას საქმეა.

***— პარლამენტს მიღმა დარჩენილი ოპოზიცია ფაქტიურად რომ აღარ არსებობს?***

— ამ ფლანგზე ძალიან რთული ვითარებაა და პოლიტიკური ველი, ფაქტობრივად, მოსუფთავებულია. ეს ცუდია, მაგრამ ამასაც ახლავს თან სიკეთე. ახლა არის ყველაზე ხელსაყრელი ვითარება ახალი ძალის გამოსაჩენად.

მიმდინარეობს ახალი პარტიის შექმნა, რომელიც არა მესამე და მეორე ადგილის დასაკავებლად, არამედ პირველობისთვის იბრძოლებს.

***— „ქართული ოცნება“ სად მიდის?***

— დემოკრატიის პრინციპებიდან გამომდინარე, ერთი და იგივე პარტია არჩევნებს სულ ვერ მოიგებს. აქედან გამომდინარე, აუცილებლად უნდა გამოჩნდეს ახალი ძალა. ამაზე არაერთი განცხადება აქვს გაკეთებული ბიძინა ივანიშვილს.

***— ფიქრობთ, რომ ის შექმნის ახალ პარტიას?***

— არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება, მაგრამ, არა მგონია, ეს ივანიშვილმა გააკეთოს, მაგრამ გაერთიანება იქნება საკმაოდ ძლიერი.

***— დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ღარიბაშვილი აპირებს პოლიტიკაში მოსვლას. შემთხვევით მის გარშემო ხომ არ მოხდება ეს გაერთიანება?***

— ჩემი აზრით, ღარიბაშვილი აუცილებლად უნდა დაბრუნდეს. იქნება თუ არა ამ გაერთიანებაში, მალე ვნახავთ. ახლა მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ გაერთიანება იქნება ძალიან ძლიერი და მან შესაძლოა თვითმმართველობის არჩევნებშიც კი მოსინჯოს ძალები, რომელიც მომავალ წელს ტარდება.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ანზორ აბრალავა: „დეპუტატის იმუნიტეტი და პარტიების დაფინანსება გასაუქმებელია“

## „სააკაშვილი ჩამოწერილია“

მარიამ მჭედლიშვილი

**სამოქალაქო სექტორის ნაწილი მოუწოდებს პროდასავლურ პარტიებს, მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტურში მხარი დაუჭირონ ნაციონალური მოძრაობის კანდიდატებს, რათა მომავალ პარლამენტში „ქართულ ოცნებას" არ ჰქონდეს საკონსტიტუციო უმრავლესობა. „ახალი თაობა" ამ და სხვა საკითხებზე ესაუბრა ყოფილ დეპუტატ ანზორ აბრალავას**

**ანზორ აბრალავა:**

– ეს სამოქალაქო სექტორი წარმოადგენს სააკაშვილის ფილიალებს. მათი მოწოდება არაფერს ნიშნავს. სააკაშვილმა და მისნაირმა ფსევდოდასავლელებმა მოახდინეს ნამდვილი დასავლური, ევროპული ღირებულებების დისკრედიტაცია. სააკაშვილი ყოველთვის ისე იქცეოდა, როგორც არ უნდა მოიქცეს არც დასავლელი, არც აღმოსავლელი, არც ჩრდილოელი და სამხრეთელი ლიდერი და ადამიანი. ეს ხალხი არაა ევროპელი არც ქცევებით, არც კულტურითა და განათლებით. სააკაშვილის დრო წავიდა.

***– მისმა პარტიამ მხარდაჭერა მიიღო 8 ოქტომბერს.***

– ჩემი არაერთგზის გამოთქმული პროგნოზები გამართლდა. ერთადერთი, მოველოდი, რომ დამნაშავე ნაცმოძრაობას ნაკლები მხარდაჭერა ექნებოდა. ამ პარტიამ საკმაოდ ბევრი ხმა მიიღო. ამას ვუკავშირებ ტელემედიის ტენდენციურობას. თითქმის ყველა არხი ნაცმოძრაობაზე მუშაობდა. ამ პარტიის წევრების გარდა, ყოველდღე ყველა გადაცემაში სააკაშვილის მომხრეები ისხდნენ. შეიძლება, სადაც გადართავ, ყველგან ბაია პატარაია იყოს? სხვა საზოგადოება ქვეყანაში არ არსებობს?

***– თავად სააკაშვილის მოწოდებებმა და დაპირებებმა ჩამოსვლის შესახებ არ იმოქმედა ნაცმოძრაობის ამომრჩეველზე?***

– როგორ არა. ამანაც მოახდინა მათი მობილიზება. თუმცა, ეს სააკაშვილის ბოლო გაბრძოლება იყო. ის ჩამოწერილი სახეა. ადრეც მითქვამს, რომ პოლიტიკაში მისი მოსვლა დიდი შეცდომა და გაუგებრობა იყო.

***– პოლიტიკური ველის დაცარიელებაზე წელიწადზე მეტია საუბრობთ. ეს თემა აქტუალური გახდა 8 ოქტომბრის შემდეგ.***

– დიახ, ამაზე დიდი ხანია ვლაპარაკობ. „ქართული ოცნებისა“ და დამნაშავე ნაცმოძრაობის გარდა, პოლიტიკურ სარბიელზე არც ერთი რაიმე მნიშვნელობის მქონე ძალა არ ჩანდა. რესპუბლიკურ პარტიაზე ყოველთვის ვამბობდი, რომ მას არანაირი რეიტინგი არ გააჩნია. ეს ამ არჩევნებმაც დაადასტურა. რესპუბლიკელები ყელყელაობენ 35-წლიანი ისტორიით და ინტელექტუალებით. მერედა, რას უკავშირდება ეს ისტორია? გადატრიალებებს, სამხედრო და სახელმწიფო საბჭოებთან ურთიერთობას, შევარდნაძისთვის მაშველი რგოლის შექმნას, სააკაშვილთან მჭიდრო კავშირს. ბოლოს რესპუბლიკური პარტია ხურჯინივით წამოიკიდა ბიძინა ივანიშვილის კოალიციამ, რესპუბლიკელების ამბიციები კი ზღვარს გადავიდა. მათ არც შორსმჭვრეტელობა აღმოაჩნდათ და არც – ანალიზის უნარი. მათი დროც წავიდა. სწორად მოიქცნენ ალასანიას თავისუფალი დემოკრატები.

***– ლიდერების წასვლას გულისხმობთ?***

– დიახ. ეს პარტია საარჩევნო ზღურბლსაც მიუახლოვდა, მაგრამ მაინც დამარცხდა და მისმა ბირთვმა მიიღო გონივრული გადაწყვეტილება. ირაკლი ალასანიას და სხვებს ამით წონა შეემატათ.

***– ოპტიმისტებს პროდასავლური ძალების გაერთიანების იმედი აქვთ.***

– ვინ უნდა იყოს ამ გაერთიანებაში? დღევანდელი უსახური პარტიები? უსახურობას ვინ დაეძებს! პარტიების დიდი ნაწილი გარიგებებსა და ფულის კეთებაშია შემჩნეული, ზოგი სააკაშვილისგან იკვებება. მე ისიც არ მესმის, რატომ უნდა ფინანსდებოდნენ პარტიები ჩვენი ჯიბეებიდან.

***– კვალიფიციური პარტიების რაოდენობა 8 ოქტომბრის შემდეგ 20-მდე გაიზარდა.***

– მით უარესი ქვეყნისთვის. რისთვის წაახალისეს ეს პარტიები, გაუგებარია. ისინი არც ქვეყანას გამოსდგომიან რამეში და მათ არც ხალხის მხარდაჭერა აქვთ. მათი ლიდერები სასახლეებში ცხოვრობენ და უძვირფასესი ჯიპებით დაჰქრიან. პოლიტიკა მათთვის სამსახურია. ამომრჩევლის ლამის ნახევარი რომ არ მივიდა არჩევნებზე, ამ სახელგატეხილი პარტიების ბრალია. ბევრ ასეთ ლიდერს ტრიბუნასაც უთმობენ. არადა, საზოგადოების უმრავლესობისთვის გამოხატვის უფლება დახშულია.

***– რას გულისხმობთ?***

– ტელევიზიებს. ყველგან ერთი და იგივე ჯგუფი გამოდის და მორალს უკითხავს ხალხს. რუსთავი 2-ში სხვას აბრალებენ სიძულვილის ენას. ამ დროს ამ არხზე ხშირად დასცინიან ადამიანებს, მაგალითად, ფიზიკური ნაკლის გამო. თქვენი პოპულარული გაზეთის საშუალებით მოვუწოდებ სხვადასხვა არხს, მათ შორის, ინგა გრიგოლიას, საზოგადოების სხვა ჯგუფებსაც დაუთმოს ეთერი!

ბევრი სააკაშვილს 2008 წლის მოვლენების შემდეგ განუდგა. სულ რამდენიმე კაცი ვიყავით, ვინც მას თავიდანვე საჯაროდ მძაფრად ვაკრიტიკებდით. შესაბამისი ჩანაწერები არსებობს. ამით ვამაყობ. ახლა არ მომწონს, რომ სიტყვას აღარ გვაძლევენ.

***– დესტაბილიზაციის საფრთხე მინელდა?***

– თუ ნაცმოძრაობას ამაზე ხელი წაუცდა, მას უსასტიკეს პასუხს ხალხი მიაგებს. ახლა ერთი ამბავი აქვთ ატეხილი გივი თარგამაძის მანქანის აფეთქებაზე. პროკურატურას სიტყვის თქმას არ აცლიან. ეს აფეთქება აშკარად სააკაშვილის ხელწერაა. გონივრული ეჭვი მაქვს, რომ სააკაშვილს ამ დროს უნდოდა რომელიმე რიგითი მოქალაქის, გამვლელის მოკვლა. ამას უნდა



მოჰყოლოდა მღელვარება და ხალხის ქუჩაში გამოსვლა. გივი თარგამაძემ შეიძლება ეს არც იცოდეს.

***– ნაციონალები პარლამენტში შედიან.***

– ეს მათ იმუნიტეტისთვის სჭირდებათ. მათ შორის არიან ისეთები, რომლებსაც დანაშაული აქვთ ჩადენილი. იმედი აქვთ, რომ იმუნიტეტი დაიცავთ. ამიტომ ვამბობ, რომ სადეპუტატო იმუნიტეტი უნდა გაუქმდეს. პარლამენტის წევრი ჩვეულებრივი ადამიანია. ასევე გასაუქმებელია პარტიების ბიუჯეტიდან დაფინანსება.

# ვახტანგ მაისაია: „სოხუმში ტერაქტის კვალი ისლამურ სახელმწიფოსთან მიდის“

გულიკო ბალაძე

**ჩვენ უკვე ვწერდით სოხუმში სახელმწიფო ტელევიზიასთან განხორციელებული აფეთქების შესახებ.**

ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია მომხდარს „ახალ თაობასთან“ აანალიზებს და მას ისლამურ სახელმწიფოსთან აკავშირებს.




***– ბატონო ვახტანგ, სოხუმში სახელმწიფო ტელევიზიის წინ პირმა თავი აიფეთქა. ფაქტი ტერაქტად შეაფასეს. თუ მომხდარი ტერაქტი იყო, ეს რას ნიშნავს? მოგეხსენებათ, აფხაზეთი რუსეთის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიაა.***

– ითქვა, რომ ის მარტო არ იყო. ფაქტი დილის 7 საათზე მოხდა და სახელმწიფო დაწესებულების მიმართულებით. მსხვერპლი არ არის, მაგრამ სერიოზული ზიანი მიადგა დაცულ ობიექტს, ტელევიზიას.

***– რას შეიძლება დავუკავშიროთ სოხუმში ტერაქტის მოწყობა?***

– თავისი სტილითა და მანერით მომხდარი ძალიან წააგავს ისლამური სახალიფოს ნამოქმედარსა და დაეშის მსგავს დანაშაულს სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიებზე. ისინი სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიებზე ახორციელებენ მსგავს ტერაქტებს.

***– რაში სჭირდებოდა ისლამურ ხალიფატს სოხუმში ტერაქტის მოწყობა?***

– თუ ჩვენ გავაკეთებთ სირიაში მიმდინარე პროცესების ანალიზს, მაშინ გასაგები გახდება ამ ქმედების მოტივი და მისი სავარაუდო ჩამდენები დაეშის, ალეპოსა და ისლამური სახალიფოს მიმართულებით.

***– ანუ რუსეთი უტევს სირიას და იქიდანაც გამაფრთხილებელი სიგნალები მოდის?***

– როგორც ჩანს, ეგ არის. რუსები ახორციელებენ მასირებულ დარტყმებს არა მარტო ალ ქაიდას, ჯაფხად ალ ნუსრას, არამედ ისლამური სახალიფოს მიერ კონტროლირებადი ტერიტორიების მიმართულებითაც.

ისლამურ სახალიფოს ჰქონდა თავისი ქსელები აფხაზეთის ტერიტორიაზე. თქვენი გაზეთის მეშვეობით თავიდანვე ვთქვით, რომ პირველი ასეთი დაჯგუფება ოკუპირებულ აფხაზეთში შეიქმნა. როგორც ჩანს, ისლამურმა სახალიფომ აამოქმედა თავისი კარგად ინსპირირებული ჯგუფის ტერორისტები.

***– მაინცდამაინც სოხუმში რატომ მოაწყო ტერაქტი?***

– სოხუმში კარგად შეეძლო თავისი აქტიური ტერორისტული ჯგუფის წევრების ამოქმედება. დღეს აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობს 8-10 ათასი სირიიდან დეპორტირებული ლტოლვილი, რომლებიც აფხაზეთმა მიიღო. სირიის ლტოლვილები განთავსებული არიან რუსეთში – კრასნოდარის მხარისა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიებზე.

იყო გეგმები, რომ სირიელი ლტოლვილები დაესახლებინათ ქართულენოვან რაიონებში – გალისა და ოჩამჩირის ფარგლებში. ამ გეგმის განხორციელებას კურირებდა დღევანდელი პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ვლადისლავ სურკოვი. ამიტომ სავსებით შესაძლებელია, დაეშის კვალი ყოფილიყო და არის კიდევაც დაეშის კვალი.

***– რუსეთში რატომ არ მოხდა მსგავსი რამ?***

– ეტყობა, დაეშისთვის სუსტი წერტილი აფხაზეთში იყო. აფხაზეთში ნაკლებად ელოდებოდნენ ასეთ დარტყმას, რადგან ძალოვანი სტრუქტურები მუშაობენ ამ მიმართულებით. ესეც მნიშვნელოვანია, რადგან მოულოდნელობის ეფექტის ელემენტი ახლდა თან. როგორც ჩანს, ხალიფატის მომხრეებმა სოხუმში, ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიაზე, უფრო მეტი მომხრეების კონცენტრაცია შეძლეს.

***– საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ტერაქტი რომ მოხდა, ეს ჩვენი შეშფოთების საგანი უნდა იყოს?***

– სავარაუდოდ, ტერაქტი მიმართული იყო რუსეთის, მისი პოლიტიკური მომხრეების შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო მანქანის წინააღმდეგ, რადგან ეს არის ობიექტი, სადაც ახლა აპირებდნენ აფხაზეთში საარმიო ნაწილების შექმნას. ისინი კარგად არიან დაცული, მაგრამ აფხაზეთის სახელმწიფო ტელევიზია იყო სტრატეგიული ობიექტი, თუმცა – ნაკლებად დაცული. როგორც ჩანს, ეს იყო პირველი, გამაფრთხილებელი დარტყმა ამ მიმართულებით.

***– ეს რუსეთის შეტევებს სირიის მიმართულებით რამენაირად შეაფერხებს?***

– არა მგონია. რუსეთი დასავლეთმა ვერ დააშინა, როდესაც საფრანგეთმა მოითხოვა და ამერიკამაც მხარი დაუჭირა, რომ შეიქმნას სპეციალური საერთაშორისო ჰააგის ტრიბუნალის ჯგუფი, რომელი შეეცდება, გამოიძიოს რუსეთის დანაშაული მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე. საუბარია იმ დაბომბვებზე, რომელთაც სირიაში ეწირება მშვიდობიანი, მაგალითად, ალეპოს მოსახლეობა.

# უსუფაშვილი: „ნაციონალებისთვის ხმის მიცემა ჩემთვის ხარაკირი იქნება“

## „პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობის ქონა ცუდია“

– მე, პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელმა, ხარაკირი უნდა ჩავიტარო და ოთხი წლის განმავლობაში ნაციონალური მოძრაობის ჩრდილიდან ველარ გამოვიდე.

ასე გამოეხმაურა პარლამენტის თავმჯდომარე, რესპუბლიკური პარტიის ლიდერი დავით უსუფაშვილი პარტიებისადმი სამოქალაქო საზოგადოების ნაწილის მიმართვას, რომ მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტურში ოპოზიციის კანდიდატებს დაუჭირონ მხარი.

როგორც უსუფაშვილმა ტვ პირველის ეთერში განმარტა, სამოქალაქო აქტივისტების პათოსი მისთვის გასაგებია, მაგრამ მოწოდება იმის შესახებ, რომ მეორე ტურებში მხარი ოპოზიციის კანდიდატებს დაუჭირონ, პოლიტიკურად შედეგსა და პარლამენტში ძალთა ბალანსს მაინც ვერ შეცვლის.

ამასთან, ჟურნალისტის კითხვაზე, დავით უსუფაშვილს კობა ნარჩემაშვილისა და გიგი წერეთლის კანდიდატურები რომ ჰქონდეს შემოსახაზად, რომელს შემოხაზავდა, უსუფაშვილმა ასე უპასუხა:

– არცერთს.

პარლამენტის თავმჯდომარის აზრით, 8 ოქტომბრის არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, შეუძლებელია „ქართული ოცნებისათვის“ საკონსტიტუციო უმრავლესობის არმიცემა, რადგან ამისათვის საჭიროა, რომ მან 10-11 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წააგოს. საარჩევნო შედეგების მიხედვით კი მაჟორიტარობის კანდიდატებს შორის ბალანსის შეცვლა შეუძლებელია.

– ჩვენ ვამბობთ, რომ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობის ქონა არის ცუდი. ყველას, ვინც თავის დროზე საკონსტიტუციო უმრავლესობაში იყო, ეს ძალიან უხაროდა, თუმცა მერე ყველას სანანებელი გაუხდა, იმიტომ, რომ ასეთი გზით დაუშვეს მათ შეცდომები. იმის იმედი, რომ თავად „ქართული ოცნება“ ამას მიხვდება და რაიმეს მოიმოქმედებს, მე არა მაქვს, რადგან შეუძლებელია, რამდენიმე კონკრეტულმა დეპუტატმა თქვას, „მოდი, ნუ იქნება საკონსტიტუციო უმრავლესობა, გავდივარ თამაშიდან და ვუთმობ სხვას მანდატს“, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.



აქვე მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ თუკი, მაგალითად, საბურთალოს მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ხმას სევდია უგრეხელიძეს მისცემს, ამით პოლიტიკურ შედეგს მაინც ვერ მიაღწევს.

– სამაგიეროდ, ვაღწევ იმ შედეგს, რომ სრულდება, ერთი მხრივ, ბატონი ბიძინას და, მეორე მხრივ, ბატონი მიშას ერთობლივი სანუკვარი ოცნება, რომ ეს ქვეყანა ორ ფერში წარმოაჩინონ – „ქართული ოცნება“ და ნაციონალები.

ჩემი აქტით, რომელიც პოლიტიკურად აბსოლუტურად უშედეგოა, რადგან პოლიტიკურად ვერაფერს ვაღწევ, რომ შეიცვალოს პარლამენტში ძალთა ბალანსი, ვზარდები ნაციონალურ მოძრაობას, როგორც ერთადერთ და განუმეორებელ ოპოზიციურ ძალას, რომელსაც მე მივეცი ხმა.

ამის გამო და ამის შემდეგ, ერთი მხრივ, ნაციონალური მოძრაობა გვაბურთავებს, „ქართული ოცნება“ ხომ იცოცხლებს და გაიხარებს. დანარჩენი ოთხი წელი უნდა ვიყო იმ დამღით, რომ ხედავთ, ეს ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩეველია. ვიქნები კიდეც, თუ წავედი და მივეცი ხმა ამ უაზრო

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ტრისტან წითელაშვილი: „დათა ახალაიამ ნავთლუღის სპეცოპერაციის დროს ახალგაზრდას ესროლა“



ერთ-ერთი პირი, რომელმაც ნავთლუღის სპეცოპერაციის დროს ახალგაზრდის მიმართ საკონტროლო გასროლა განახორციელა, კუდ-ის ყოფილი უფროსი დათა ახალაია იყო.

ამის შესახებ მოწმე ტრისტან წითელაშვილმა ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმეზე მიმდინარე სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომელზეც ბრალი კუდ-ის ყოფილ უფროსს დათა ახალაიას და კუდ-ის ყოფილ მაღალჩინოსანს გია დგებუაძეს, მეტსახელად მასტერას აქვს წარდგენილი.

წითელაშვილის ინფორმაციით, მის მიერ დაფუძნებული კომპანია ნავთლუღის ავტოსადგურისა და მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული ობიექტების უსაფრთხოებაზე იყო პასუხისმგებელი და რიგითი შემოვლის დროს შეესწრო სპეცოპერაციას.

– 2006 წლის 12 იანვარს მე და ჩემი თანამშრომელი, დავით ჩუბინიძე ვაწარმოებდით შემოვლას. როდესაც ნავთლუღის ავტოსადგურთან მივედით, მე წავედი ავტოსადგურის ადმინისტრაციული შენობის შესამოწმებლად, დავით ჩუბინიძე კი გავუშვი „ავერსის“ მიმართულებით არსებული შენობების შესამოწმებლად.

როდესაც შემოვლა დავასრულე და ვბრუნდებოდი ავტომანქანისკენ, გავიგონე ძლიერი დამუხრუჭების ხმა. ავუჩქარე ნაბიჯს, რათა იმ ადგილს მივახლოვებოდი, ცოტა ხანში კი დაიწყო ინტენსიური სროლა.

მე იქვე კუთხეს ამოვეფარე და დავინახე, დაახლოებით 5-6 ნიღბიანი პირი როგორ მისდევდა სროლით სამ ახალგაზრდას და ეს ახალგაზრდები მოკლეს. შემდეგ დავინახე, როგორ გამოეყო ნიღბიანთა ჯგუფს, ის ნილაბში იყო და ერთ-ერთი მოკლულის მისამართით განახორციელა პირდაპირი, ე.წ. საკონტროლო გასროლა.

შემდეგ მან მოიხსნა ნიღაბი და ამოვიცანი, რომ იყო დათა ახალაია.

კიდევ ერთი ახალგაზრდის მიმართ საკონტროლო გასროლა მეორე პირმაც განახორციელა, რომელიც ნიღბის გარეშე იყო. მოგვიანებით გავარკვიე, რომ ის გიორგი მაზმიშვილი იყო.

მესამე მოკლულის მისამართითაც იყო პირდაპირი გასროლა, თუმცა მე არ დამინახავს, ვინ ისროლა, ვინაიდან ეს ყველაფერი ჩემ ზურგს უკან მოხდა, – განაცხადა ტრისტან წითელაშვილმა.

მისივე თქმით, ცოტა ხანში შემთხვევის ადგილზე მიიტანეს სპორტული ჩანთა, რომელშიც ავტომატები ეწყო.

– ამ სპორტული ჩანთიდან ამოიღეს ავტომატები და დაულაგეს გარდაცვლილებს. ვინ დაულაგა იარაღები, არ ვიცი, მისი სახე დავინახე, თუმცა არ ვიცნობ,

ამის შემდეგ მე წავედი ჩუბინიძის მოსაძებნად და გადავკვეთე გზა. ამ დროს გაისმა კიდევ ერთხელ ინტენსიური სროლის ხმა. როცა მოვიხედე, უკან დავინახე ისნიდან ნავთლუღის ავტოსადგურის მიმართულებით მოძრავი ნიღბიანი პირები, რომლებიც ისროდნენ ჰაერში.

ამის შემდეგ მოვიდა სპეცრაზმიც, საპატრულო პოლიცია და სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირებიც, – განაცხადა მოწმე წითელაშვილმა.

კიდევ ერთ ბრალდებულ გია დგებუაძეზე მოწმემ აღნიშნა, რომ დგებუაძე იმ 5-6 პირთან ერთად იმყოფებოდა, ვინც ახალგაზრდებს სროლით მისდევდა.

# სასჯელაღსრულების სამინისტრო წამების მსხვერპლს 20.000 ლარს გადაუხდის



სასჯელაღსრულების სამინისტრო წამების მსხვერპლს კომპენსაციის სახით 20.000 ლარს გადაუხდის.

ამის შესახებ ინტერპრესნიუსს ადამიანის უფლებათა ცენტრიდან აცნობეს.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან ცემა-წამებაში დაზარალებულად ცნობილ მსჯავრდებულის თამაზ რ.-ის საქმეზე სასამართლოს სარჩელით მიმართა და დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

7 ოქტომბერს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ აიღო ვალდებულება, კანონიერ ძალაში შესული განჩინების/გადაწყვეტილების ჩაბარებიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღის ვადაში გადაუხადოს მოსარჩელე თამაზ რ.-ს 20.000 ლარი მის მიმართ სასჯელაღსრულების სისტემაში განცდილი მატერიალური და მორალური ზიანის საკომპენსაციოდ.

მსჯავრდებული თამაზ რ. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში, წლების განმავლობაში, არაადამიანური მოპყრობისა და წამების მსხვერპლი იყო, რამაც მის ჯანმრთელობაზე მძიმე კვალი დატოვა. მან 12 წელი გაატარა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

5 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ბესიკ ბუგიანიშვილის მიერ დაკმაყოფილდა ადამიანის უფლებათა ცენტრის შუამდგომლობა თამაზ რ.-ს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 283 მუხლის საფუძველზე ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო სასჯელის აღსრულების გადავადების თაობაზე.

თამაზ რ. სასამართლო სხდომის დარბაზიდან განთავისუფლდა.

* * *

ადამიანის უფლებათა ცენტრი მიესალმება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად, სახელმწიფომ შეასრულა თავისი პოზიტიური ვალდებულება და გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი წამების მსხვერპლის რეაბილიტაციისკენ.

ამავე დროს, ადამიანის უფლებათა ცენტრი სამინისტროს მოუწოდებს, კონკრეტული მიდგომა განაზოგადოს წამების სხვა მსხვერპლებზე, რომლებიც წლებია, სახელმწიფოსგან ელიან კომპენსაციას და რეაბილიტაციას და ეს საკითხი არის სწორედ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პასუხისმგებლობა, მიუხედავად იმისა, თუ რა პერიოდშია ჩადენილი ესა თუ ის დანაშაული.

ცენტრის ინფორმაციით, თამაზ რ. წინა ხელისუფლების დროს გახდა წამების მსხვერპლი. მას დაზარალებულის სტატუსი უკვე „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში მიენიჭა.

# ყალბი დოლარის გასაღების ფაქტზე საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს



ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე საქართველოს ორი მოქალაქე დააკავა.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულებმა, წინასწარი შეთანხმებით, საქართველოს ტერიტორიაზე თურქეთის რესპუბლიკიდან შემოიტანეს დიდი ოდენობით ყალბი ამერიკული დოლარის კუპიურები.

სისხლის სამართლის საქმეზე დაგეგმილი ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ბრალდებულთა დაკავება უშუალოდ ყალბი კუპიურების გასაღების დროს მოხდა.

საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 10 წლამდე ვადით.

# გივი თარგამაძის მანქანის აფეთქების საქმეზე ბრალდებულ დავით ხეჩუაშვილზე ძებნაა გამოცხადებული



ჩვენ უკვე ვწერდით, რომ დეპუტატ გივი თარგამაძის მანქანის აფეთქების საქმეზე ბრალდებულებს წინასწარი პატიმრობა აქვთ შეფარდებული.

ბორის ჩაგუნავასა და დავით ხეჩუაშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს პროკურატურამ მიმართა.

ხეჩუაშვილისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდება დაუსწრებლად მოხდა.

როგორც პროკურატურაში განმარტავენ, კანონმდებლობის შესაბამისად, ხეჩუაშვილზე ძებნაც გამოცხადდა.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, გივი თარგამაძის ავტომანქანა 4 ოქტომბერს, ღამით, „პირიმზესთან“ აფეთქდა. მანქანაში იმყოფებოდნენ თარგამაძე და მისი მძღოლი. დაშავდა 5 პირი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლით დაიწყო, რაც დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

# ნარკოდანაშაულისთვის ძებნილი გამართლდა



საზოგადოებრივი ადვოკატის დახმარებით, ნარკოდანაშაულისთვის ძებნილი გამართლდა.

ამის შესახებ ინტერპრესნიუსს იურიდიული დახმარების სამსახურიდან აცნობეს.

იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს საზოგადოებრივი ადვოკატის, გიორგი მდინარაძის, დახმარებით, ლ.ჩ., რომელიც ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების ბრალდებით იძებნებოდა, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.

საქმის არსებითი განხილვის დროს საზოგადოებრივმა ადვოკატმა სასამართლოს ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ბრალდების მხარემ სასამართლოში დასაკითხ პირთა სიაში არ მიუთითა და შესაბამისად, არ დაიკითხა ნარკოლოგიური გამოკვლევის დასკვნის შემდგენი არც ერთი ექსპერტი, რის საფუძველზეც, დაცვის მხარემ ეჭვქვეშ დააყენა ნარკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და მოითხოვა მისი არგაზიარება.

ადვოკატ გიორგი მდინარაძის ეს მოთხოვნა ემყარებოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილს, რომლის მიხედვითაც დოკუმენტს მტკიცებულებითი ძალა აქვს, თუ ცნობილია მისი წარმომავლობა და ის ავთენტიკურია. დოკუმენტი ან ნივთიერი მტკიცებულება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ მხარეს შეუძლია მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა, შექმნა იგი ან/და ინახებოდა სასამართლოში წარდგენამდე.

ზემოაღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით, ადვოკატმა გიორგი მდინარაძემ თავისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლება მოითხოვა.

სასამართლომ სრულად გაიზიარა საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია და ლ.ჩ. წარდგენილ ბრალდებაში გაამართლა.

# იარაღის შეძენა-შენახვის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს




შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის ლაგოდეხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1973 წელს დაბადებული გ. კ., ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით, ლაგოდეხის რაიონის სოფელ თამარიანში დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისა და კარაბინისთვის განკუთვნილი 660 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს, ასევე, ამოღებულია არარეგისტრირებული სანადირო თოფი.

– ექსპერტიზის დასკვნით, აღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა სროლისთვის ვარგისია.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით), – ნათქვამია შს სამინისტროს განცხადებაში.

# უსუფაშვილი: „ნაციონალებისთვის ხმის მიცემა ჩემთვის ხარაკირი იქნება“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ვითარებაში, – განაცხადა უსუფაშვილმა.

მან რესპუბლიკურ პარტიაზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ, მარცხის მიუხედავად, პარტია დეპრესიაში ჩავარდნას არ აპირებს.

– ჩვენი იმიჯი ცოტა სხვანაირად უნდა წარმოვაჩინოთ. შორეულ ნათესავად აღგვიქვამს ბევრი საზოგადოებაში და საჭიროა, ახლო ნათესავად აღგვიქვან. ცოტა უფრო ახლოს მისვლაა საჭირო საზოგადოებასთან, – განაცხადა მთავარმა რესპუბლიკელმა.

იგი ასევე გამოეხმაურა სანდრო ბრეგაძის განცხადებას იმის შესახებ, რომ ქვეყნის სირცხვილია, რომ დავით უსუფაშვილი პარლამენტის წევრი აღარ არის.

– ამ ქვეყანასა და ხალხს არაფერი აქვს სასირცხვილო. არანაირი სირცხვილი არ არის ქვეყნის ის, რომ მე პარლამენტში ვიყავი ან არ ვიქნები. სანდრო ბრეგაძეს მაშინ ეფიქრა სირცხვილზე, როდესაც მისი შტაბის წარმომადგენლები ათასგვარ ბინძურ ჭორებს ავრცელებდნენ ჩემს საარჩევნო ოლქში, რომ თითქოს არა მხოლოდ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება მინდა, არამედ კონკორდატის გაუქმების ინიციატივა მიდევს ჯიბეში. ამ ჭორებს როდესაც ავრცელებენ, მაშინ ჰქონდეთ სირცხვილის განცდა, – დასძინა დავით უსუფაშვილმა.

* * *

– ჩვენ მივიღეთ პოლიტიკური სისტემის თვალსაზრისით დამუხრუჭებული საქართველო.

ასე შეაფასა არჩევნების შედეგები პარლამენტის თავმჯდომარემ.

– 10 დღეა, ვიძინებ გაურკვეველ საქართველოში. ეს საქართველო არის იმაზე უკეთესი, ვიდრე იქნებოდა, თუ ჩვენ ვერ შევძლებდით არჩევნების მშვიდობიანად ჩატარებას. მე ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ მივიღეთ უკეთესი საქართველო, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

მისი აზრით, უმრავლესობის დეპუტატებზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

– დღეს ჩვენ გვესმის „ქართული ოცნების“ ბევრი წარმომადგენლის განცხადება, რომ რატომ შფოთავთ, ჩვენ ხომ ნორმალური ხალხი ვართ? მე მჯერა თითოეული მათგანის ინდივიდუალურად, მაგრამ ვგრძნობ ხიფათს მათი კოლექტიური ქმედებების გამო, – აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

მისივე თქმით, მონოპოლია კარგ ადამიანებსაც ცუდი ქმედებებისკენ უბიძგებს.

– მეორე ტურში სერიოზულ ცვლილებას არ ველოდები. მე არ ვამბობ, რომ ხვალიდან დაიწყება უბედურებები საქართველოში, მაგრამ იმას ნამდვილად ვამბობ, რომ ყველა დანარჩენმა მოქალაქემ უახლოესი წლების განმავლობაში უნდა გავაკეთოთ მაქსიმუმი, რომ ის სახიფათო ვითარება, რომელიც შეიქმნა, მინიმუმამდე დავიყვანოთ, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83



# კახა ჩარგეიშვილი: „ქვეყანაში ლარის კურსის განმსაზღვრელი პოლიტიკა არ არსებობს“

## „დღეს საქართველოს ეკონომიკისთვის პრობლემას სახელმწიფო ფინანსურ მმართველობაში არსებული ტოტალური უცოდინარობა წარმოადგენს“

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე ქართველი ფინანსისტი „კომერსანტთან“ საქართველოში არსებულ საბანკო სისტემაზე საუბრობს.

***– საქართველოს საბანკო სექტორში არსებულ პროცესებს როგორ შეაფასებთ?***

– საქართველოში დიდი ხანია, არ ვმოღვაწეობ, თუმცა, ჩემი სურვილია, რომ არსებულმა ხელისუფლებამ ქვეყნის ეკონომიკის ზრდაში წარმატებას მიაღწიოს. დღეს საქართველოს ეკონომიკისთვის ყველაზე დიდ პრობლემას სახელმწიფო ფინანსურ მმართველობაში არსებული ტოტალური უცოდინარობა წარმოადგენს, რაც საბანკო სექტორზე აისახება.

ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებთან დაკავშირებულ ელემენტარულ კითხვებზე ზოგიერთი მინისტრი იმდენად არაადეკვატურ პასუხს სცემს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში მათი კრიმინალური პასუხისმგებლობის საკითხიც დადგებოდა.

***– არაპროფესიონალიზმის პრობლემა ბანკირებს ეხებათ, თუ მოსახლეობაც არ არის საბანკო სექტორში გაცნობიერებული?***

– არაპროფესიონალიზმი ეხება სახელმწიფოს ფინანსურ მმართველობას. სახელმწიფო ვერ ახდენს საბანკო სისტემის რეგულაციას და ეს აძლევს საშუალებას ამ სუბიექტებს, გააგრძელონ კანიბალური საქმიანობა, რაც აზარალებს მოსახლეობას.

***– საქართველოს საბანკო სივრცეში ბოლო დროს მსხვილი გარიგება შედგა. კერძოდ, „თიბისი ბანკმა“ „ბანკი რესპუბლიკა“ იყიდა. რა პროცესებს გამოიწვევს ეს როგორც საქართველოს საბანკო სივრცეში, ისე ეკონომიკაში?***

– საქართველოს კომერციული ბანკების ერთობლიობა ძალიან ჰგავს განვითარებადი ქვეყნების საბანკო სისტემას, მაგალითად, აფრიკულს ან რუსულს. ქართული საბანკო სისტემა წარმოადგენს ლომბარდების ჯგუფს, რომლებიც ახდენენ ფულადი სახსრების არაეფექტურ გადანაწილებას მომხმარებლებისთვის კანიბალური ფასების დაწესებით. გარიგება, რომელზეც თქვენ მკითხეთ, დაასუსტებს კონკურენტუნარიანი სისტემის ეფექტურობას, მაგრამ მთავარი პრობლემა მმართველობით სისტემაშია.

***– ბანკების გაერთიანება კონკურენციას ხომ არ შეზღუდავს?***

– საბანკო ბაზარი ლიმიტირებულია და მოგებას ნახულობს ფინანსური სახსრების იმ სატრანსფერო გადაადგილებაში, რაც განვითარებულ ქვეყნებში უკვე დიდი ხანია უფასოა მომხმარებლისთვის. ბანკების გაერთიანების შემდეგ ეს პროცესები გახდება ნაკლებად ეფექტური და კონკურენციაზეც ნეგატიურად იმოქმედებს.

***– „თიბისი ჯგუფი“ სადაზღვევო ბიზნესშიც შევიდა. აღნიშნულმა ფინანსურმა ინსტიტუტმა კომპანია „კოპენბური“ იყიდა. ამ ფაქტს როგორ შეაფასებთ?***

– კომერციული ბანკის სადაზღვევო ბიზნესში შესვლასთან დაკავშირებით მე ინფორმაცია არ მაქვს. განვითარებულ ქვეყნებში არსებობს კანონმდებლობა, რომელიც ფინანსური სახსრების მმართველი კომპანიის (ბანკის) და მისი კლიენტების ინტერესების ეფექტურ გამიჯვნას ახდენს.

გიორგი ჭანტურიას საფეხბურთო კარიერა ისე დაიწყო, რომ ახლა მსოფლიო დონის ვარსკვლავი უნდა გვყოლოდა. თუმცა, შემდეგი განვითარება ისე არ მოხდა – ჰოლანდიური ვიტესი, ვლადიკავკაზის ალანია, ისევ ვიტესი და ახლა ეკატერინბურგის ურალის. რუსული კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ინტერვიუ ჭანტურიასთან, სადაც ბარსელონასა და ვიტესში გატარებულ პერიოდზე და საქართველოს ეროვნული ნაკრების შანსებზე საუბრობს.

***– რა არის შენი ბავშვობის ყველაზე ტკბილი მოგონება?***

– კონკრეტულ ამბავს ვერ გავიხსენებ. თუმცა, კარგად მახსენდება როგორ ვთამაშობდი ეზოში მეგობრებთან ერთად ფეხბურთს..

***– როგორი იყო ქუჩურ ფეხბურთში გატანილი ყველაზე ლამაზი გოლი?***

– ასეთი ძალიან ბევრი იყო.

***– რას ნიშნავს ყმაწვილისთვის მიწვევა ბარსელონაში?***

– ეს ნებისმიერი ბიჭუნას ოცნებაა, ვინც ფეხბურთს თამაშობს. მაშინ საქართველოს ასაკობრივი ნაკრები ევროპის პირველობაზე გამოდიოდა. იქ კარგად ვითამაშე, რამდენიმე გოლი გავიტანე. როდესაც შინ დავბრუნდი, ბარსელონას წარმომადგენლები დამიკავშირდნენ, ჩასვლა და ერთკვირიანი სინჯების გავლა შემომთავაზეს. ზუსტად ერთი კვირის შემდეგ, კლუბთან 3-წლიანი კონტრაქტი გავაფორმე. ასე ამისრულდა ოცნება, რომელიც ნებისმიერ ფეხბურთელს აქვს.

***– მშობლები როგორ შეხვდნენ ამ ამბავს?***

– ძალიან ბედნიერები იყვნენ. ჩამოდიოდნენ ხოლმე და დაახლოებით ერთი თვით რჩებოდნენ ჩემთან.

***– ბარსელონაში ყველაზე მეტად რამ გაგაოცა?***

– გამაკვირვა იმ ფაქტმა, რომ ბარსელონას ფეხბურთელები ყველგან ერთად იყვნენ და როგორც ერთი ოჯახი, ისე ცხოვრობდნენ. ვფიქრობ, სწორედ ამიტომ შეუძლიათ ამ დონეზე თამაში.

***– ბარსელონაში რატომ არ დარჩი?***

– ბარსელონასთან კონტრაქტის ამოწურვამდე 2 წელი რჩებოდა. მეორე გუნდში ვიყავი, თამაში კი უმაღლეს დონეზე მსურდა.

***– დღეს თუ გაქვს ახლო ურთიერთობა რომელიმესთან, ვინც ბარსელონას ასაკობრივ გუნდში შენთან ერთად ვარჯიშობდა?***

– ყოველდღიურად ტელეფონით არავის ვურეკავ, მაგრამ კავშირი მუდმივად მაქვს იკარდისთან, რომელიც ამჟამად ინტერში თამაშობს. ურთიერთობა მაქვს რაფინიასთან, სერხიო რობერტოსთან. როდესაც ესპანეთის ნაკრებს ვეთამაშეთ, ბარტრას გამოველაპარაკე.

***– ხშირად ქართველ მესის გიწოდებენ. პირველად როდის მოგიხსენიეს ასე?***

– ეს ვიტესში მოხდა. თავიდან 5 მატჩი იმ პოზიციაზე ვითამაშე, სადაც მესი თამაშობს და გავიტანე 4 გოლი, გულშემატკივრებმა კი პლაკატი გამოფინეს წარწერით – ჩვენ არ გვჭირდება ბარსელონა, ჩვენ გვყავს ჩვენი მესი.

***– ეთანხმებით მოსაზრებას, რომ თამაშის მანერა საერთო გაქვთ?***

– არაფერი მსგავსი. მესი ფეხბურთის მეფეა, მე კი ჩვეულებრივი ფეხბურთელი ვარ. რა უნდა გვქონდეს საერთო?

***– ეფექტური დრიბლინგი, ანაც როდესაც შენ ერთ მხარეს იყურები, პასს კი სხვა მხარეს აკეთებ.***

– როდესაც მატჩს იგებ, მსგავს რაღაცებს გულშემატკივრებისთვის აკეთებ, რათა სიამოვნება მიიღონ.

***– ჰოლანდიის ჩემპიონატი რითია გამორჩეული?***

– ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის ის ბრწყინვალე ასპარეზია თავის გამოსაჩენად, შემდეგ კი უფრო მაღალი კლასის გუნდში გადასასვლელად. ჰოლანდიის შემდეგ მე იტალიაში, ვერონაში წავედი. ძალიან კარგ გუნდში მოვხვდი.

***– ვიტესში ყველაზე მეტად რომელი მატჩი დაგამახსოვრდა?***

– ეს იყო დიდი დერბი – ვიტესი ნაიმეგენს ეთამაშებოდა. სტუმრად ვთამაშობდით. იქამდე ვიტესს 11 წელი არ ჰქონია დერბი მოგებული – მოვიგეთ 1:0. ჯერ გოლი გავიტანე, შემდეგ კი წითელი ბარათი მივიღე. ის მატჩი სამუდამოდ დამამახსოვრდა.



***– წითელი ბარათი რისთვის მიიღე?***

– მეტოქესთან კინკლაობისთვის. ორივე გაგვაძევეს.

***– 2012 წელს, რუსეთში პირველად ჩამოსვლის გადაწყვეტილება იოლად მიიღე?***

– ჰოლანდიაში მწვრთნელთან არცთუ კარგი ურთიერთობა მქონდა. ალანიაში მიმიწვიეს 6-თვიანი იჯარით. გუნდი ბოლო ადგილზე იყო და დახმარება სჭირდებოდა. მახსოვს, კარგი მატჩები ჩავატარე. ძალიან დამენანა, რომ ალანია პრემიერლიგიდან გავარდა.

***– ალანია-დინამოს მატჩში მასობრივი ჩხუბი მოხდა, რომელშიც შენც მონაწილეობდი. დღეს როგორ უყურებ იმ ინციდენტს?***

– ფეხბურთში ასეთი რამ ყოველთვის შეიძლება მოხდეს. ყველას აქვს ნერვები, ემოცია. თანაც, თამაშის მიწურული იყო, 88-ე წუთი მიმდინარეობდა. როდესაც კოკორინმა უხეშად ითამაშა ჩემი თანაგუნდელის წინააღმდეგ, გუნდში ყველა აღშფოთდა, მაგრამ ამ ამბავს აღარ ვიხსენებ, დიდი ხნის წინ იყო.

***– კოკორინს ხელს ჩამოართმევ?***

– რა თქმა უნდა, ბავშვები ხომ არ ვართ?!

***– ნაკრებში პირველად გამოძახების შესახებ როგორ შეიტყვე?***

– 4 წლის წინ მოხდა, როდესაც ჰოლანდიაში ვთამაშობდი. ლოგიკური იყო, ნაკრებში რომ დამიძახეს. კარგად ვთამაშობდი, ვიტანდი. ეროვნული გუნდის პირველსავე შეხვედრაში გოლი გავიტანე და მოვიგეთ.

***– როდესაც ნაკრების შეკრებაზე მიდიხარ, შინ შევლას ასწრებ?***

– ეს მწვრთნელზეა დამოკიდებული. ზოგჯერ ის გვრთავს დღის ოჯახთან ერთად გატარების საშუალებას. როგორც წესი, სასტუმროში ვცხოვრობთ, სადაც მოსანახულებლად მოდიან ოჯახის წევრები და ნათესავები. 11 საათამდე შეგვიძლია ერთად ვიყოთ.

***– რუსეთის ჩემპიონატზე კითხვებს ნაკრებში ყველაზე მეტად ვინ გისვამს?***

– საქართველოს ნაკრებში არიან ფეხბურთელები, რომლებიც რუსეთში თამაშობენ. ჯანო, კვერკველია დიდი ხანია, აქ გამოდიან. ახლახან ოქრიაშვილიც გადმოვიდა. ყველაზე ხშირად რუსეთზე კაპიტანი გურამ კაშია მეკითხება ხოლმე, რომელიც ჰოლანდიაში თამაშობს. შარშან ჰქონდა რუსეთიდან წინადადება, თუმცა კლუბთან ტრანსფერზე ვერ მოილაპარაკეს.

***– რუსეთში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველო მოხვდება?***

– იმედია, რომ შევძლებთ გასვლას. ჯგუფში საკმაოდ ძლიერი გუნდები გვყავს, მაგრამ ჩვენც კარგი ნაკრები გვყავს. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ მოვინდომებთ. იმედია, ყველაფერი გამოვა, თუ არა და, ჩამოვალ ტურისტად.

***– ეკატერინბურგში ქართული სამზარეულო შეაფასე?***

– რა თქმა უნდა. არის 3-4 რესტორანი, სადაც ქართული სამზარეულოს კერძებს გემრიელად ამზადებენ.

***– თავად შეგიძლია მომზადება?***

– არა, არც მიყვარს. ამისთვის ბიძა მყავს, რომელიც ბრწყინვალედ აკეთებს კერძებს. ახლაც, ინტერვიუს რომ მოვრჩებით, სასწრაფოდ მასთან გავჩნდები.

***– თბილი ტანსაცმელი შეიძინე?***

– რაღაცები უკვე ვიყიდე. ყველა იმას ამბობს, რომ ძალიან ეცივება, მაგრამ ჯერჯერობით ეს ვერ ვიგრძენი.

***– თამაშიდან თამაშამდე სულ უფრო მეტ დროს ატარებ მოედანზე. ეს ნიშნავს, რომ ფორმა სრულად აღიდგინე?***

– დიახ, ფიზიკური ფორმა აღვიდგინე, უკეთაც ვიგებ მწვრთნელის მოთხოვნებს, შევეწყე თანაგუნდელებს. ამის გამო ჩემი თამაში უკეთესი გახდა და შესაბამისად, მოედანზეც უფრო ხშირად ვჩანვარ. ვფიქრობ, კიდევ უფრო მეტი სარგებლის მოტანა შემიძლია გუნდისთვის.

***– ხშირად იღიმები. ეს დამახასიათებელია ქართველებისთვის?***

– რა თქმა უნდა. ყოველთვის ვცდილობ, გავიღიმო. მით უმეტეს, რომ თანაგუნდელებთან კარგი ურთიერთობა მაქვს.

***– მირჩიე, თბილისში თუკი მოვხვდები, სად უნდა წავიდე აუცილებლად?***

– დამირეკე, როგორც კი იქ მოხვდები. თბილისში უამრავი კარგი ადგილია.

***– ღვინოებში კარგად ერკვევი?***

– ბუნებრივია, უფრო ქართულ ღვინოებში. ჩვენთან ეს მთელი კულტურაა. ღვინოს საქართველოში ტაძარშიც კი სვამენ. ძილის წინ ერთი ბოკალი სუფთა ღვინის მირთმევა, ძალიან სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის.

***– ეკატერინბურგში შეიძლება ნამდვილი ქართული ღვინის შეძენა?***

– მგონი, არა. ამას წინათ საქართველოდან მესტუმრნენ მეგობრები და მათ ჩამომიტანეს ცოტა ღვინო.

***– სოციალურ ქსელებს როდის გაუშინაურდი?***

– დაახლოებით სამი წლის წინ. 20 წლამდე არ ვსარგებლობდი, არ მაინტერესებდა. მქონდა მხოლოდ „ვოტსაპი“ ოჯახის წევრებთან დასაკავშირებლად. სოციალური ქსელების მოხმარება ჰოლანდიაში დავიწყე, მომეწონა და ახლაც სიამოვნებით ვიყენებ. საქართველო პატარა ქვეყანაა. ადამიანებს განსაკუთრებით აინტერესებთ, როგორ ცხოვრობენ ფეხბურთელები, რომლებიც საზღვარგარეთ თამაშობენ.

***– შენს რომელ ფოტოსურათს აქვს ყველაზე უჩვეულო ისტორია?***

– უწინ, როცა დაქორწინებული ვიყავი, მქონდა ფოტოსურათები, რომლებიც განქორწინების შემდეგ წავშალე. სწორედ იმ ფოტოსურათებს უკავშირდებოდა დაუჯერებელი ამბები. ახლა უფრო ემოციურ ფოტოებს ვაქვეყნებ, მაგალითად, გოლის სიხარულის ამსახველს.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# ინტერში, შესაძლოა, მწვრთნელი შეიცვალოს

მილანის ინტერმა სეზონი ძალიან ცუდად დაიწყო და 8 ტურის შემდეგ ფრანკ დე ბურის გუნდი იტალიის ჩემპიონატში მე-11 ადგილზე იმყოფება.

უკვე აქტიურად მიმდინარეობს საუბრები იმის შესახებ, რომ შესაძლოა დე ბური თანამდებობიდან გაათავისუფლონ.



განიხილება ფაბიო კაპელოს კანდიდატურაც, რომლის ბოლო სამუშაო ადგილი რუსეთის ნაკრები იყო, სადაც კაპელომ არცთუ კარგი შედეგები აჩვენა.

ჯერჯერობით ფაბიოს ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია და ბევრი რამ უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# ვოლფსბურგს ანდრე ვილაშ ბოაში გაწვრთნის

ვოლფსბურგმა ცუდი შედეგების გამო მწვრთნელი დიტერ ჰეკინგი თანამდებობიდან გაათავისუფლა და მის შემცვლელს აქტიურად ეძებს.



გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ვოლფსბურგის ახალი მწვრთნელი პორტუგალიელი სპეციალისტი ანდრე ვილაშ ბოაში იქნება, რომელიც ამჟამად გუნდის გარეშეა.

ვილაშ ბოაშმა სურათიც გამოაქვეყნა, სადაც ის გერმანული ენის სწავლით არის დაკავებული.

წარსულში ვილაშ ბოაშს ისეთ გუნდებში უმუშავია, როგორებიც ჩელსი და ტოტენჰემი არიან. მისი ბოლო სამუშაო ადგილი სანკტ-პეტერბურგის ზენიტი იყო.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# შედეგები

**17 ოქტომბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ლივერპული-მანჩესტერი .............. 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 8 | 6 | 1 | 1 | 19-8 | 19 |
| 2.არსენალი | 8 | 6 | 1 | 1 | 19-9 | 19 |
| 3.ტოტენჰემი | 8 | 5 | 3 | 0 | 13-4 | 18 |
| 4.ლივერპული | 8 | 5 | 2 | 1 | 18-10 | 17 |
| 5.ჩელსი | 8 | 5 | 1 | 2 | 15-9 | 16 |
| 6.ევერტონი | 8 | 4 | 3 | 1 | 12-6 | 15 |
| 7.მანჩესტერი | 8 | 4 | 2 | 2 | 13-8 | 14 |
| 8.საუთჰემპტონი | 8 | 3 | 3 | 2 | 10-7 | 12 |
| 9.კრ.პალასი | 8 | 3 | 2 | 3 | 11-9 | 11 |
| 10.უოტფორდი | 8 | 3 | 2 | 3 | 13-13 | 11 |
| 11.ბორნმუთი | 8 | 3 | 2 | 3 | 12-12 | 11 |
| 12.ვესტ ბრომვიჩი | 8 | 2 | 4 | 2 | 9-8 | 10 |
| 13.ლესტერი | 8 | 2 | 2 | 4 | 8-14 | 8 |
| 14.ბარნლი | 8 | 2 | 1 | 5 | 6-12 | 7 |
| 15.ვესტ ჰემი | 8 | 2 | 1 | 5 | 9-17 | 7 |
| 16.ჰალი | 8 | 2 | 1 | 5 | 8-20 | 7 |
| 17.მიდლსბრო | 8 | 1 | 3 | 4 | 7-11 | 6 |
| 18.სტოკი | 8 | 1 | 3 | 4 | 7-16 | 6 |
| 19.სუონსი | 8 | 1 | 1 | 6 | 8-15 | 4 |
| 20.სანდერლენდი | 8 | 0 | 2 | 6 | 6-15 | 2 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ეიბარი-ოსასუნა .............................. 2:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ატლეტიკო | 8 | 5 | 3 | 0 | 21-3 | 18 |
| 2.რეალი | 8 | 5 | 3 | 0 | 22-8 | 18 |
| 3.სევილია | 8 | 5 | 2 | 1 | 16-12 | 17 |
| 4.ბარსელონა | 8 | 5 | 1 | 2 | 26-10 | 16 |
| 5.ვილიარეალი | 8 | 4 | 4 | 0 | 14-4 | 16 |
| 6.ბილბაო | 8 | 5 | 0 | 3 | 13-10 | 15 |
| 7.ლას პალმასი | 8 | 3 | 3 | 2 | 16-13 | 12 |
| 8.ეიბარი | 8 | 3 | 2 | 3 | 11-10 | 11 |
| 9.ალავესი | 8 | 2 | 4 | 2 | 9-8 | 10 |
| 10.სოსიედადი | 8 | 3 | 1 | 4 | 11-12 | 10 |
| 11.ლეგანესი | 8 | 3 | 1 | 4 | 9-13 | 10 |
| 12.სელტა | 8 | 3 | 1 | 4 | 9-16 | 10 |
| 13.მალაგა | 8 | 2 | 3 | 3 | 8-10 | 9 |
| 14.ვალენსია | 8 | 3 | 0 | 5 | 11-15 | 9 |
| 15.დეპორტივო | 8 | 2 | 2 | 4 | 5-10 | 8 |
| 16.ბეტისი | 8 | 2 | 2 | 4 | 9-18 | 8 |
| 17.ესპანიოლი | 8 | 1 | 4 | 3 | 9-14 | 7 |
| 18.ხიხონი | 8 | 2 | 1 | 5 | 7-18 | 7 |
| 19.ოსასუნა | 8 | 1 | 3 | 4 | 10-17 | 6 |
| 20.გრანადა | 8 | 0 | 2 | 6 | 8-23 | 2 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბრაუნშვაიგი-კაიზერი .................. 1:0

**იტალია. სერია ა**

პალერმო-ტორინო .......................... 1:4

**სტურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 8 | 7 | 0 | 1 | 17-5 | 21 |
| 2.რომა | 8 | 5 | 1 | 2 | 19-10 | 16 |
| 3.მილანი | 8 | 5 | 1 | 2 | 15-11 | 16 |
| 4.ტორინო | 8 | 4 | 2 | 2 | 17-9 | 14 |
| 6.ლაციო | 8 | 4 | 2 | 2 | 14-8 | 14 |
| 6.ნაპოლი | 8 | 4 | 2 | 2 | 15-9 | 14 |
| 7.კიევო | 8 | 4 | 1 | 3 | 10-9 | 13 |
| 8.კალიარი | 8 | 4 | 1 | 3 | 13-14 | 13 |
| 9.ჯენოა | 7 | 3 | 3 | 1 | 8-5 | 12 |
| 10.სასუოლო | 8 | 4 | 0 | 4 | 11-13 | 12 |
| 11.ინტერი | 8 | 3 | 2 | 3 | 10-10 | 11 |
| 12.ბოლონია | 8 | 3 | 2 | 3 | 9-12 | 11 |
| 13.ატალანტა | 8 | 3 | 1 | 4 | 10-12 | 10 |
| 14.ფიორენტინა | 7 | 2 | 3 | 2 | 6-6 | 9 |
| 15.სამპდორია | 8 | 2 | 2 | 4 | 8-11 | 8 |
| 16.პესკარა | 8 | 1 | 4 | 3 | 8-11 | 7 |
| 17.უდინეზე | 8 | 2 | 1 | 5 | 7-14 | 7 |
| 18.პალერმო | 8 | 1 | 3 | 4 | 5-12 | 6 |

**იტალია. სერია ბ**

ტრაპანი-ტერნანა ............................ 2:2

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

სოშო-ლანსი .................................... 1:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ანჟი-ტერეკი .................................... 0:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლარისა-აეკი .................................... 1:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ანთალია-რიზე ................................. 1:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

კორონა-შლიონსკი ......................... 1:2

**დანია. სუპერლიგა**

ესბიერგი-ლუნგბიუ ....................... 2:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

გიოტებორგი-გეფლე ...................... 3:3
ჰამარბი-დიურგარდენი .................. 4:2

**ფინეთი. ექსტრაკლასა**

ილვესი-ჰიკი .................................... 1:3
ინტერი-როვანიემი ........................ 1:1
ლახტი-მარიეჰამნი ........................ 0:2
კემი-ვაასა ...................................... 1:4
სეინეიოკი-პკ 35 ............................ 5:0
ჰიფკი-კუუპიო ............................... 0:2

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# ძმრიანი საფენები წნევას არეგულირებს

სისხლძარღვთა დაავადებებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია ჰიპერტონია, რომლითაც ავადმყოფობს მოზარდი მოსახლეობის 10-20%.

ამის მიზეზი კი არის სისხლძარღვთა დანაგვიანება, რასაც იწვევს ქიმიური წამლები, მოხარშული და კონცენტრირებული საკვები (განსაკუთრებით ცხიმების, მარილების, სახამებლისა და შაქრის შემცველი).

ამ დაავადების მიზეზი შეიძლება გახდეს მემკვიდრული მიდრეკილება, ფსიქოლოგიური დაძაბულობა, ალკოჰოლი, სიგარეტი, ნაკლები ფიზიკური აქტიურობა და სხვ.

**გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციური ცვლილებები შეიძლება სახლის პირობებშიც გამოსწორდეს. სასურველია, რომ ე.წ. შინაური წამლებიც ექიმის მეთვალყურებით გამოიყენოთ.**

1. აიღეთ 1 ჭიქა ჭარხლის ცოცხალი წვენი, 1 ჭიქა სტაფილოს წვენი, 1 ჭიქა პირშუშხას წვენი (გახეხილ პირშუშხას წინასწარ ასხამენ წყალს და აჩერებენ 36 სთ ს), 1 ცალი ლიმნის წვენი, 1 ჭიქა თაფლი. ყველაფერი აურიეთ.

**მიღება:** 1 სუფრის კოვზი 2-3 ჯერ დღეში ჭამამდე 1 საათით ადრე ან ჭამიდან 2-3 საათის შემდეგ.

2. აიღეთ კუნელის მშრალი ნაყოფი, კუნელის ყვავილები, შვიტა, ფითრი, დაქუცმაცებული ნიორი (თანაბრად აღებული). აურიეთ კარგად. 1 სუფრის კოვზ ნარევს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი. გააჩერეთ 6-8 საათი. გაწურეთ, დაუმატეთ თაფლი გემოვნებით. **მიღება:** 1/4 ჭიქა 4 ჯერ დღეში ჭამის წინ.

3. 1 ჭიქა თაფლი აურიეთ 1 ჭიქა ძახველის წვენში და მიიღეთ 1 სუფრის კოვზი 2-3 ჯერ დღეში.

4. 30 გრამი ფითრის ფოთოლს დაასხით 100 მლ არაყი (40 გრადუსიანი) გააჩერეთ 10 დღე. **მიღება:** 1 ჩაის კოვზი დღეში 3-ჯერ.

5. 1 სუფრის კოვზ ფითრის დაქუცმაცებულ ფოთლებს დაასხით 250 მლ ცივი წყალი. დააყოვნეთ მთელი ღამე. ეს არის ერთი დღის დოზა 3 მიღებაზე.

6. პირშუშხა (იყიდება ბაზრებში) მოადუღეთ და მიიღეთ დღეში 3-ჯერ ჭამის წინ 30 წუთით ადრე 3 დღე. აკონტროლეთ წნევა.

7. ინდოელები მაღალი წნევის დასაწევად ასეთ წამალს იყენებენ: 2 ჭიქა თბილი წყალი, 16 კბილა გახეხილი ნიორი, 2 სუფრის კოვზი თაფლი აურიეთ, დადგით ნელ ცეცხლზე და ხარშეთ 30 წუთის განმავლობაში. **მიღება**: დღეში 3-ჯერ 2-3 სუფრის კოვზი.



**წნევის დასარეგულირებლად შემდეგი რეცეპტები გამოიყენეთ:**

- მდოგვის საფენები გაცილებით უსაფრთხო საშუალებაა, რომლის გამოყენება სახლის პრობებშიც შეიძლება.

სასურველია, მდოგვის საფენები 10-15 წუთით დაიფინოთ კისერზე და მკერდზე, კერტების გარშემო (ოთხი ცალი ერთ მხარეს, ოთხი ცალი მეორე მხარეს), შემდეგ კი დაწექით და მაქსიმალურად მოადუნეთ სხეული. შესაძლოა, 10-15 წუთის შემდეგ არ იგრძნოთ მდოგვის საფენებისათვის დამახასიათებელი წვა, მაგრამ აღნიშნული დროის გასვლის შემდეგ საფენები უნდა მოიხსნათ.

- შეიხვიეთ ფეხის ტერფები 6-9%-იან ძმარში დასველებული ნაჭრით. მარჯვენა ხელის შუა თითი დაიდეთ ხრტილოვან გამობურცულობაზე, რომელიც მდებარეობს ყურის ნიჟარის ძირთან და დააჭირეთ რაც შეიძლება ძლიერად. გესმით, როგორ სცემს შუა თითის ბალიშში პულსი? დათვალეთ შვიდამდე. შეწყდა თქვენი პულსის ცემა? თქვენი წნევა ნორმაშია.
- აიღეთ საშუალო ზომის ათი ლიმონი, გარეცხეთ, გააშრეთ და დაჭერით ისე, როგორც ჩვეულებრივ ჭრიან ჩაისთვის. ჩაალაგეთ სამლიტრიან ქილაში, დაუმატეთ ნახევარი ლიტრი თაფლი, ნახევარი ლიტრი ალოეს წვენი და ნახევარი ლიტრი არაყი. ჭიქა მჭიდროდ დახურეთ ხუფით და დადგით ბნელ ადგილზე ორმოცი დღით. მიღება დაიწყეთ თითო სადილის კოვზით ჭამამდე ნახევარი საათით ადრე. დღეში სამჯერ.
- შეურიეთ ერთი ჭიქა ჭარხლის და სტაფილოს წვენი ერთ ჭიქა თაფლს, ნახევარ ჭიქა მოცვის წვენს და დალიეთ 100 გრამი დღეში ერთხელ.
- შავბალახა – 30 გრამი, ბერულა – 20 გრამი, წყლის იელი – 20 გრამი, თირკმლის ჩაი – 10 გრამი. კარგად შეურიეთ ერთმანეთში. შემდეგ აიღეთ ამ ნარევის ერთი სუფრის კოვზი, დაასხით 300 მლ მდუღარე წყალი, ადუღეთ 5 წუთი, თბილად შეინახეთ 4 სათის განმავლობაში, გაწურეთ. მიიღეთ 3-ჯერ დღეში ნახევარი ჭიქა კარგად გამთბარი, ჭამამდე 20 წუთით ადრე.
- ყვითელი ცხვირსატეხელა – 10 გრამი, კუნელი (ყვავილები) – 10 გრამი, არყის ხის ფოთლები – 10 გრამი, შავბალახა – 20 გრამი, ბერულა – 20 გრამი, შვიტა – 10 გრამი. კარგად აურიეთ, დააქუცმაცეთ. ორ სუფრის კოვზ ნარევს დაასხით 500 გრამი მდუღარე წყალი, თბილად შეინახეთ 5 6 საათის განმავლობაში, გაწურეთ, დალიეთ ნახევარი ჭიქა დღეში სამჯერ კარგად გამთბარი, ჭამის წინ.
- ჰიპერტონიის დროს უნდა ჭამოთ კანიანად შემწვარი კარტოფილი.
- ჰიპერტონიის სკლეროზული ფორმის დროს ყოველდღიურად მიიღეთ 2-3 კბილი ნიორი.
- წითელი ჭარხლის წვენი თაფლთან ერთად (თანაბარი რაოდენობით) მიიღეთ 1 სუფრის კოვზი 4-5 ჯერ დღეში.
- 2 ფინჯარი თბილი წყალი, 16 ნივრის კბილი, 2 სუფრის კოვზი ვაშლის ძმარი და 2 სუფრის კოვზი თაფლი. ეს ნარევი ნელ ცეცხლზე მოვხარშოთ ნახევარი საათის განმავლობაში, გავაცივოთ და მივიღოთ დღეში სამჯერ ორ ორი სუფრის კოვზი.
- შავბალახა – 30 გრამი (3 სუფრის კოვზი), ბერულა – 20 გრამი, წყლის იელი – 20 გრამი, თირკმლის ჩაი – 10 გრამი. კარგად შეურიეთ ერთმანეთში. შემდეგ აიღეთ ამ ნარევის ერთი სუფრის კოვზი, დაასხით 300 მლ მდუღარე წყალი, ადუღეთ 5 წუთი, თბილად შეინახეთ 4 საათის განმავლობაში, გაწურეთ. მიიღეთ 3 ჯერ დღეში ნახევარი ჭიქა კარგად გამთბარი, ჭამამდე 20 წუთით ადრე.
- 1 ქილა მაწონს დაამატეთ 1 ჩაის კოვზი დარიჩინი და მიიღეთ კვირაში 2 ჯერ. წნევა თანდათან ნორმალური გახდება.
- ხორცსაკეპში გაატარეთ 500 გრამი ლიმონი კანიანად (წინასწარ კურკები ამოაცალეთ), დაამატეთ უთესლო 500 გრამი ასკილი, 500 გრამი შტოში და 500 გრამი თაფლი. დააყენეთ დღე ღამის განმავლობაში. ხმარებისას მაცივარში გქონდეთ შენახული. მიიღეთ ჭამამდე ნახევარი საათით ადრე 1 სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში.
- კატაბალახას წვეთებს ან დიდი კონცენტრაციის ნაყენს ყოველ ღამე, ძილის წინ უყნოსეთ 1-1,5 წუთის განმავლობაში თითო ნესტოთი. კურსი გრძელდება 2-4 თვე. ადამიანებზე, რომელთაც მაღალი წნევა აქვთ, კატაბალახას ნაყენი ეფექტურად და სასიკეთოდ მოქმედებს მხოლოდ ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ.

# რომელი ელემენტები სჭირდება გულს

სულ მცირე ფიზიკური ვარჯიშიც კი გულ სისხლძარღვთა სისტემისათვის ძალიან სასარგებლოა. დღეში 30 წუთიანი სწრაფი სიარული კარგი პროფილაქტიკური საშუალებაა არა მარტო გულისა და სისხლძარღვებისათვის, არამედ მთელი ორგანიზმის გასაჯანსაღებლად.

**კალიუმი** – ხელს უწყობს ორგანიზმიდან ჭარბი სითხის გამოდევნას და გულის კუნთის მუშაობას აუმჯობესებს. კალიუმი ბევრია ლობიოში, სოიოში, ატამში, გარგარში, შავ ქლიავში, კაკაიოში, რძეში.

**მაგნიუმი** – ამ ელემენტს სისხლძარღვთა გამაფართოებელი და შარდმდენი ეფექტი აქვს. იგი მოიპოვება: წიწიბურაში, ბარდაში, საზამთროში, ნუშში, შავ ჩაისა და ყავაში.



**იოდი** – არაჩვეულებრივია ათეროსკლეროზის დროს. დადებითად მოქმედებს ნივთიერებათა ცვლაზე. იოდით მდიდარია: თევზეული, ზღვის პროდუქტები, მწვანე სალათა, კარტოფილი, კომბოსტო, კიტრი, ყურძენი.

**მცენარეული ზეთი** – დადებითად მოქმედებს ქოლესტერინულ ცვლაზე. უნდა გვახსოვდეს, რომ თერმული დამუშავებისას მისი სასიკეთო თვისებები მცირდება. ამიტომ უმჯობესია სალათები ზეთით შევაზავოთ.

**ვიტამინი** სასარგებლოა, რომელიც შედის ბურღულეულში, ბარდასა და კარტოფილში.

# ჟოზე მოურინიომ გუნდის ლიდერები გააკრიტიკა

ლივერპულთან ნათამაშები ნულოვანი ფრის შემდეგ მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ პოლ პოგბასა და ზლატან იბრაჰიმოვიჩზე ისაუბრა და თქვა, რომ მათგან მეტს ელის.



მოურინიოს აზრით, პოგბა ლივერპულთან უფრო აქტიური უნდა ყოფილიყო და თამაში მეტად გაემწვავებინა, იბრაჰიმოვიჩი კი ვალდებული იყო, თავისი მომენტი გამოეყენებინა.

მოურინიომ თამაშზეც ისაუბრა და თქვა, რომ ლივერპულთან სტუმრად ფრე კარგი შედეგია, თუმცა თამაშის ხარისხით ის ბოლომდე კმაყოფილი არ არის.

8 ტურის შემდეგ მანჩესტერ იუნაიტედს 14 ქულა აქვს და მოურინიოს შეგირდები სატურნირო ცხრილში მე-7 პოზიციას იკავებენ.

სპორტი

# თემურ ქეცბაია ათენის აეკის მწვრთნელი აღარ არის



თემურ ქეცბაია ბერძნულ გუნდ აეკს აღარ გაწვრთნის. ის თანამდებობიდან გაათავისუფლეს და ეს ინფორმაცია აეკმა ოფიციალურად დაადასტურა.

სავარაუდოდ, ქეცბაიას გათავისუფლების მიზეზი ოლიმპიაკოსთან გამანადგურებელი ანგარიშით მარცხი გახდა, თუმცა ქართველ მწვრთნელს პოზიციები მანამდეც შერყეული ჰქონდა.

შესაძლოა, ქეცბაია კვიპროსში დაბრუნდეს და თავისი ყოფილი გუნდი, ანართოსისი, ჩაიბაროს.

თვითონ ქეცბაიას ამ თემაზე ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

ანართოსისში ქეცბაია 2004-09 წლებში მუშაობდა და კვიპროსულ გუნდთან ერთად ბევრ წარმატებასაც მიაღწია.

# რეალმა ლუკა მოდრიჩთან ახალი კონტრაქტი გააფორმა

ხორვატმა ნახევარმცველმა ლუკა მოდრიჩმა მადრიდის რეალთან ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომლის მიხედვითაც, ის სამეფო გუნდში 2020 წლის ზაფხულამდე დარჩება.

მოდრიჩი უკვე 31 წლის არის და, შესაძლოა, მან კარიერა რეალში დაამთავროს. თვითონ ფეხბურთელი ძალიან ბედნიერია მადრიდში და კლუბის გამოცვლაზე არ ფიქრობს.

მოდრიჩი რეალში 2012 წლის ზამთარში გადავიდა, მანამდე კი რამდენიმე წლის განმავლობაში ტოტენჰემის ღირსება იცავდა.

რეალის შემადგენლობაში მოდრიჩმა 100-ზე მეტი შეხვედრა ჩაატარა და 11 გოლის გატანა შეძლო.



*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# ასტროპროგნოზი
## 19 ოქტომბრისათვის



**ვერძი** – მძიმე დღეა, განსაკუთრებით მატერიალური კუთხით. ბედი გამოცდას გიწყობთ. ნებისყოფა მოიკრიბეთ. **კურო** – კეთილისმყოფელი დღეა. ფინანსურად ძლიერდებით და ყველაფერი იოლად გამოგდით. **ტყუპები** – ვიღაც დაუფარავად ცდილობს თქვენს გაცურებას. იფხიზლეთ, თაღლითების ანკესს ნუ წამოეგებით. **კირჩხიბი** – დასამახსოვრებელი დღეა. ცხოვრებაში კორექტივები შეგაქვთ. აგიმაღლდებათ შრომის ნაყოფიერება. **ლომი** – სხვების გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. საკუთარ პრინციპებს პატივი ეცით. მიხედეთ პირად ცხოვრებას. **ქალწული** – საქმიანი კონტაქტები წარმატებული იქნება. იყავით დამოუკიდებელი. **სასწორი** – ჯანმრთელობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ერიდეთ კონფლიქტს საყვარელ ადამიანთან. **ღრიანკალი** – წინდაუხედაობა არასასურველ შედეგამდე მიგიყვანთ. დაფიქრდით, სანამ რამეს გადაწყვეტთ. **მშვილდოსანი** – ნებისმიერი კომერციული ოპერაცია სასიკეთოდ დასრულდება. გელით მატერიალური კეთილდღეობა. **თხის რქა** – პირადი ცხოვრების მოწყობაში პლანეტები გეხმარებიან. ძალზე იღბლიანი პერიოდი გაქვთ. **მერწყული** – ეცადეთ, წვრილმანი კამათი თავიდან აირიდოთ. უმჯობესია, თუ საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვას დღესვე დაიწყებთ. **თევზები** – რთული დღეა. ემოციურად დათრგუნული ხართ. განმარტოვდით და ენერგია მოიკრიბეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. კომპანიის, ფირმის ფინანსური მდგომარეობის, ქონების შემფასებელი ექსპერტი; 2. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 3. სისხლის თხევადი ნაწილი; 4. უძრავი ქონების დროებით დაქირავება; 6. პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანება უმაღლეს სასწავლებელში; 9. აკვალანგის გამომგონებელი ფრანგი ოკეანეოგრაფი; 11. მობილური კავშირგაბმულობის კომპანია საქართველოში; 15. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 16. პატარა სასეირნო გემი; 17. გულიანი კანფეტი; 19. ჭკუასუსტობის უმაღლესი ხარისხი; 21. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 22. უნგრეთის ფეხბურთელთა გუნდი.

**თარაზულად**: 5. სვანური ციხე-კოშკი; 7. დედამიწის ჩრდილო პოლარული ზონა; 8. თოჯინა „ბარბის“ მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 10. ქართველი მწერალი რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 12. თვითმფრინავთმშენებლობის ერთ-ერთი ცენტრი ინგლისში; 13. ესპანეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა; 14. პარფიუმერიული ფირმა „ლორეალის“ მფლობელი; 18. დიდი სიცხე; 20. ტკბილი, დაუდუღარი ყურძნის წვენი; 23. ლატვიელი კომპოზიტორი; 24. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 25. აჭარული ცეკვა; 26. ქართული ფოლკლორული ანსამბლი; 27. კაცობრიობის მიერ განვლილი გზა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. შინჯუკუ; 2. ტალავარი; 3. „ინტელი“; 4. სიამი; 5. შიფონერი; 8. კერატიტი; 12. სუმო; 13. აკადემია; 14. არწივი; 16. ტიციანი; 18. კრიკი; 20. ალბა.

**თარაზულად:** 6. „ვიქტორია“; 7. მონოტიპი; 8. „კოპოლა“; 9. ბურჟე; 10. კაროტინი; 11. „პლესეცკი“; 15. აკრატოფორი; 17. სოპოტი; 19. ველასკესი; 21. ამნეზია; 22. სამშვილდე; 23. ჰაჯიბეი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სულორი; 2. ნიცშე; 3. პრესტო; 4. სქოლიო; 6. იამაიკა; 9. ზურნა; 11. ბორუსია; 15. სეიდებადი; 16. ოაზისი; 17. ნუვორიში; 19. ოლსტერი; 21. „კასტელი“; 22. ჰამამი.

**თარაზულად:** 5. კუპიდონი; 7. „ალიგოტე“; 8. დომინო; 10. წურბელა; 12. იუანი; 13. დუომო; 14. ბონისტიკა; 18. ბრუტო; 20. ხანუკა; 23. ნასერი; 24. „საბა“; 25. მისური; 26. მუდო; 27. პლანერი.

# იზმირის ორკესტრი თბილისშია

საქართველოს დამოუკიდებლობისა და თურქეთ-საქართველოს ურთიერთობების აღდგენის 25-ე წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საელჩოსა და თბილისის მერიის თანამშრომლობის შედეგად, თბილისში ორ კონცერტს გამართავს იზმირის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი.

კონცერტებს უდირიჟორებს ცნობილი ქართველი მაესტრო ვახტანგ მაჭავარიანი, ხოლო სოლისტი იქნება ასევე ცნობილი ქართველი პიანისტი ალექსანდრე თორაძე.

იზმირის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი პირველი უცხოური სიმფონიური ორკესტრია, რომელიც კონცერტებს გამართავს თბილისში, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის განმავლობაში, 1991 წლიდან მოყოლებული.

საღამოებს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიისა და ალექსი მაჭავარიანის სახელობის თბილისის ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზები უმასპინძლებს.

T.C. KÜLTÜR VE TURİZM BAKANLIĞI
Güzel Sanatlar Genel Müdürlüğü
İZMİR SENFONİ | DEVLET ORKESTRASI
დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი
სოლისტი ალექსანდრე თორაძე

# ქართული მუსიკა ლონდონის ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოზეა წარდგენილი



ლონდონში 2 ნოემბერს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმართება, რომელიც 1986 წლიდან ტარდება.

შემოქმედებითმა ჯგუფმა უკვე გამოაქვეყნა ნომინანტთა მოკლე ნუსხა, რომლებსაც გამარჯვების რეალური შანსი აქვთ.

ავსტრალიის, ჩინეთის, დანიის, საფრანგეთის, გერმანიის, იაპონიის, ახალი ზელანდიის, სინგაპურის, შვედეთის, ნიდერლანდების, დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების ნამუშევრებს შორის საქართველოც მოხვდა.



თავის დროზე იკანომ მსმენელს ნირვანას ერთ-ერთი ცნობილი ჰიტი შესთავაზა. ხმებში გაშლილი კომპოზიცია მსმენელმა მოიწონა, თუმცა კრიტიკოსებიც გამოუჩნდნენ.

გახდება თუ არა ნირვანას ქართული ვერსია ლონდონში ყველაზე პრესტიჟული დაჯილდოების ფავორიტი, ამას 2 ნოემბერს შევიტყობთ.

# ფესტივალი „წმინდა ანდრიას ჯვარი“ იწყება




საერთაშორისო კინოფესტივალი „წმინდა ანდრიას ჯვარი“ იწყება.

ის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის მეორე კორპუსში გაიხსნება.

წელს ფესტივალი 22 ოქტომბრის ჩათვლით გაიმართება და მთავრობის მიერ ინიცირებული მასშტაბური პროექტის ჩექ ინ ჯორჯიას ფარგლებში მოეწყობა.

ფესტივალში მონაწილეობენ სახელმწიფო და დამოუკიდებელი კინო-ტელე კომპანიები, სტუდიები, კერძო პირები.

ფესტივალი საზეიმოდ 22 ოქტომბერს დაიხურება, სადაც გამარჯვებული ფილმების ავტორები გამოვლინდებიან. ფესტივალი ასოციაცია „მეოხის“ ორგანიზებით იმართება.

# თოჯინების თეატრი მაყურებელს თხოვნით მიმართავს



თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი მაყურებელს თხოვნით მიმართავს და ერთ-ერთი მსახიობის, ვახტანგ ჭელიძის 2 წლის შვილის გადარჩენაში დახმარებას სთხოვს:

– ჩვენი თეატრის მსახიობის ვახტანგ ჭელიძის 2 წლის შვილს ბარბარეს დაუდგინდა მძიმე დიაგნოზი. ბავშვის სრული გამოჯანმრთელების გარანტიას ვერ იძლევიან საქართველოში, ამიტომ საჭიროა მისი გაგზავნა თურქეთში, სადაც ოპერაციის ჩატარების შემდეგ გვპირდებიან 100%-იან შედეგს. ვახოს მრავალშვილიანი ოჯახი მე-8 შვილს ელოდება.

უმორჩილესად გთხოვთ, გაითვალისწინოთ შექმნილი მძიმე მდგომარეობა და რითიც შეგიძლიათ, დაეხმაროთ პატარა ბარბარეს გამოჯანმრთელებაში. არ გავხადოთ ბავშვის მომავალი სათუო!

2 წლის ბარბარეს დასახმარებლად საბანკო ანგარიშის ნომერი საქართველოს ბანკშია გახსნილი.

# ნუკა კვალიაშვილი და ნიკუშა კობახიძე შერიგდნენ



მომღერალმა ნუკა კვალიაშვილმა რამდენიმე დღის წინ გაავრცელა ინფორმაცია, რომ მეუღლეს, ნიკუშა კობახიძეს დაშორდა. მაშინ ნუკამ მხოლოდ ოფიციალური განცხადება გააკეთა სოციალურ ქსელში, რომ მისი სტატუსი „გაყრილი“ იყო და მიზეზები არ განუმარტავს.

ნუკასა და ნიკუშას 2 შვილი ჰყავთ – 2 წლის ლუკა და 3 თვის ალექსანდრე.

როგორც მომღერალმა განაცხადა, მათი რამდენიმედღიანი განშორება დასრულებულია და ერთმანეთის გარეშე ყოფნა წყვილისთვის იგივეა, რაც ადამიანის ყოფნა ჰაერის გარეშე.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

ძვალ-სახსართა პრობლემების:
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.
☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# რუსეთიდან ქართული ფილმების არქივი საქართველოს დაუბრუნდება



– რუსეთიდან ქართული ფილმების არქივის გადმოტანის პროცესი იწყება.

ეს განცხადება რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა, ზურაბ აბაშიძემ გააკეთა.

ამ საკითხზე მოლაპარაკებები ქართულ და რუსულ მხარეებს შორის კარგა ხანია მიმდინარეობს. რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო კინოფონდი „გოსფილმოფონდი“ საქართველოს 1916 წლიდან 1990 წლამდე გადაღებულ და ფონდის არქივში დაცულ ქართულ ფილმებს გადმოსცემს.

# განცხადება

**აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აცხადებს აკადემიის წევრთა არჩევნებს:**

**1. იურიდიული განყოფილება – 2 ადგილი;**

**2. სოციალ-პოლიტიკური განყოფილება – 1 ადგილი.**

**საბუთები მიიღება შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას 5, 18-დან 25 ოქტომბრამდე.**

**ინფორმაციისათვის დარეკეთ შემდეგ ტელეფონებზე: 290-77-35; 599-94-99-85.**

*აკადემიის პრეზიდიუმი*

## სამგლოვიარო განცხადებები

სს თბილაბრეშუმი „ცისარტყელას“ მუშაკები ღრმა მწუხარებით იუწყებიან სს-ის მთავარი ბუღალტრის ციცინო მესხის მეუღლის

**გოგი საბანაძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79.
ქ. ზესტაფონი, რუსთაველის 158. ტელ: 2 182 186.
შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.

## პროგრამა

**ოთხშაბათი 19 ოქტომბერი**

**06.00, 14.00** ტ/სერ. "**ფრანკლინი და ბეში**" **07.00** დოკ/სერ. "დროისა და სივრცის მიღმა" **08.00** ან/ფ "მადაგასკარის პინგვინები" **08.40** "ტელემანი" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" **12.20** მხ/ფ "**მისტერ ბინი დასასვენებლად მიემგზავრება**" **15.00** "x სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** დოკ/სერ. "დროისა და სივრცის მიღმა" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** საფეხბურთო მიმოხილვა **22.40 ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა **00.30** საფეხბურთო მიმოხილვა **01.00** მხ/ფ "**12 განრისხებული მამაკაცი**" (ჰ.ფონდა) **02.40** მხ/ფ "**სერენიტი**"

**08.00** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **09.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** დ/ფ "კლინტ ისტვუდი-მოხალისე მსროლელი" **12.00** ტ/სერ. "**ნუ შეწყვეტ ოცნებას**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "მეფის მუმიის საიდუმლო " **15.00, 18.00, 20.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა **21.00** "არგუმენტების დრო" **21.50** ტ/სერ. "**ბორგო ლარიჩის საიდუმლოებანი** " **22.40 ფეხბურთი** – ჩემპიონთა ლიგა" **00.40** "ნამდვილი დრო" **01.10** დ/ფ "ინსტრუქცია ამერიკის ქალბატონი პრეზიდენტისთვის"

**06.30, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **11.20** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35** სერ. "**პატარძალი**" **18.50, 19.03** სერ. "**ღირსების სახელით**" **10** სერ. **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სერ. "**ჰეროკრატია (9+1)**" **00.30** მხ/ფ "**დევნილი**" **02.30** მხ/ფ "**ჩემი როლი ცხოვრებაში**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45** სერ. "**გაბრიელა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**დედოფლის სევდა**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **22.00** სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" **11** სერ. **23.00** ნანუკას შოუ **00.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/ფ "**ვარსკვლავური ომები**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**სკანდალი**" **11.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00, 1.50** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** ცოლები და ქმრები **17.30** სერ. "**ახალი გოგო**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.30** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **23.30** მხ/ფ "**კოკაინი**"

**06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** დ/ფ "სხალთა-ხიხანის ხეობა" **11.05** ერთხელ ბავშვობაში **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია ირინა აბესაძე "შალვა ქიქოძე და გერმანია" **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "დუმფარა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ. ან/ფ **15.20** დ/ფ "მსოფლიო საგანძური" **15.35** დ/ფ "მსოფლიო საგანძური" **16.00** კონცერტი **16.45** დ/ფ "ლელოს შემობრუნება" **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**მიზანი**" **2** ნაწ. **20.40** ძილი ნებისა "გაუცინარი ხელმწიფე" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.20** ღვთის სახლი **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** გამოყენებითი ხელოვნება "გობელენი" **00.25** ისტორიის დღიური **01.00** დ/ფ "სერგო ზაქარიაძე" **00.00** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30, 2.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ტატიანა**" **10.05, 19.05** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" **11.05, 13.00** სერ. "**ვერონიკა**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **14.05, 1.00** სერ. "**ორი გული**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.35, 2.00** სერ. "**თურქული ენა დამწყებთათვის**" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**გემი**" **21.40** "ღამის კონტაქტი" **23.10** სერ. "**ესკობარი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**19 ოქტომბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.3752

ევრო — 2.6103

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.8906

100 რუსული რუბლი — 3.7664

## ამინდის პროგნოზი 19 ოქტომბრისთვის




## 19 ოქტომბრიდან

### ტიმურ ვერმესი

### ის კვლავ აქ არის




„ის კვლავ აქ არის" სატირულ-იუმორისტული რომანია, რომელიც ადოლფ ჰიტლერის თანამედროვე გერმანიაში გამოღვიძებას აღწერს.

დროში გადანაცვლებული ფიურერის თვალით დანახული დღევანდელი გერმანიისა და ევროპის რეალობა ერთდროულად სასაცილოცაა და დამაფიქრებელიც.

უნგრული წარმოშობის გერმანელი პოლიტოლოგის ტიმურ ვერმესის ამ რომანმა გამოსვლისთანავე დაიმსახურა მკითხველთა ინტერესი და მსოფლიოს 41 ენაზე მილიონობით ეგზემპლარი გაიყიდა.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

## 18 ოქტომბრიდან

### ოლივერ ტვისტი

### ფერადი ილუსტრირებული გამოცემა მაგარი ყდით



ჩარლზ დიკენსის კლასიკური ნაწარმოები „ოლივერ ტვისტი" პირველად 1838 წელს გამოიცა და მას შემდეგ უამრავ მკითხველს შეაყვარა თავი.

ღარიბ-ღატაკთა თავშესაფარში დაბადებული ობოლი ბიჭუნას ამაღელვებელი თავგადასავალი ყველას ერთნაირად აუჩუყებს გულს.

წიგნი ერიკ კინკეიდის ილუსტრაციებითაა გაფორმებული.

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

## იუმორი



ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ზედმეტი 70 კილოგრამის მოსაშორებლად რომელი საშუალებაა ყველაზე კარგი?

– განქორწინება.

●●●

კაცი ველოსიპედით მიდის თავის სოფელში, ცხელა, გაოფლიანებულია. ხიდს მიუახლოვდა, რომლის შემდეგ აღმართი იწყება. გადაწყვიტა დაისვენოს. ხედავს, ხიდზე კაცი დგას, ხელში ანკესი უჭირავს და ტივტივას თვალმოუშორებლად ჩასჩერებია. კაცი ეკითხება:

– აბა, რას ვშვრებით, ვთევზაობთ?

მეთევზე ხმას არ სცემს.

– შენ გეკითხები. ვთევზაობთ?

ისევ არ პასუხობს.

– შენ, რა, ყრუ ხარ? გეკითხები, თევზს იჭერ?

მეთევზე კი ისევ ტივტივას ჩასჩერებია. კაცმა ხელი ჩაიქნია, ველოსიპედს მოაჯდა და აღმართს შეუდგა. სულ მაღლა რომ ავიდა, უკან მოიხედა და ხედავს, რომ მეთევზე ხელს უქნევს, თითქოსდა ანიშნებს, სასწრაფოდ უკან დაბრუნდიო. ისიც მობრუნდა და უკან დაეშვა, ადგილზე მისულს მეთევზე ეკითხება:

– აბა, რას ვშვრებით, ველოსიპედით ვსეირნობთ?

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ვისთვისაა რთული ცხოვრება: კაცების თუ ქალებისთვის?

– კაცებისთვის, ქალების გამო.

●●●

სტუდენტი პროფესორს ეკითხება:

– რა ეწოდებათ იმ ადამიანებს, რომლებიც ერთნაირად ხედავენ როგორც დღისით, ისე ღამით?

– გარწმუნებთ, რომ მსგავსი შესაძლებლობის ადამიანები არ არსებობენ.

– არსებობენ და მათ ბრმები ჰქვიათ.

●●●

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეუბნება:

– გუშინ ოჯახით კინოთეატრში ვიყავი და მთელ ფილმს თვალცრემლიანმა ვუყურე.

– კი მაგრამ, კომედიას არ უყურეთ?

– ჰო, მაგრამ, იცი ბილეთი რა ღირს?

●●●

მამა საბავშვო ბაღში მივიდა შვილის წამოსაყვანად. ბაღის გამგე ეკითხება:

– რომელია თქვენი ბავშვი?

– რა მნიშვნელობა აქვს, ხვალე მაინც აქ არ უნდა მოვიყვანო?!


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.





## 20 ოქტომბრიდან

### ჩემი პირველი სიტყვები

### ანგარიში




გასართობ-შემეცნებითი ფერადი წიგნი პატარებისთვის.

წიგნში 100-ზე მეტი სიტყვაა მოცემული. თამაშის საშუალებითა და ფერების შერჩევით პატარებისთვის ნაცნობი ნივთების ამოცნობა და დასახელება ძალიან ადვილი და სახალისოა.

**ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი**

## 21 ოქტომბრიდან

### მაიკლ პუნკე

### გადარჩენილი




რომანის მთავარ გმირს, ჰიუ გლასს, თავს დაესხა დათვი გრიზლი და დაასახიჩრა. მომაკვდავი თანამეგზურებმა მიატოვეს.

გლასი გადარჩა და დამნაშავეებზე შურის საძიებლად გაემართა. სწორედ აქ იწყება ჰიუ გლასის გადარჩენის დაუჯერებელი ამბავი.

ჰოლივუდში ამ რომანის მიხედვით გადაღებულმა ფილმმა 2016 წელს ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდო, ოსკარი დაიმსახურა.

ნანატრი ოსკარი მიიღო მთავარი როლის შემსრულებელმა ლეონარდო დი კაპრიომაც, რომლისთვისაც ეს პირველი ოსკარია.

**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**

## სალვადორ დალის რეცეპტების წიგნი ბრიტანეთში ბესტსელერად იქცევა




ესპანელი მხატვრის სალვადორ დალის რეცეპტების წიგნი დიდ ბრიტანეთში მოულოდნელ საშობაო ბესტსელერად იქცევა. საუბარია 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სახელგანთქმული წიგნის პირველ განმეორებით გამოცემაზე.

კრებული 1973 წელს გამოიცა. მასში 136 რეცეპტია შესული, რომლებიც სალვადორ დალიმ და მისმა მეუღლემ შეაგროვეს. წიგნი 12 თავადაა დაყოფილი. სახელწოდებები, ილუსტრაციები და თავად რეცეპტები სიურეალისტურია, ისე, როგორც მხატვრის მთელი შემოქმედება.

როგორც გამოცემის პრესმდივანმა განაცხადა, კულინარიისა და ხელოვნების თაყვანისმცემლებმა ამ წიგნის შესახებ დიდი ხნით ადრე იცოდნენ, თუმცა დღეისთვის, სავარაუდოდ, წიგნის მხოლოდ 400 ასლამდეა შემორჩენილი.

სქელყდიანი წიგნი გაყიდვაში 20 ნოემბრიდან გამოვა, მაგრამ ის უკვე ბესტსელერების სიის სათავეშია მოქცეული.

## ვებგვერდმა კიმ კარდაშიანს ცილისწამებისთვის ბოდიში მოუხადა



ამერიკულმა გამოცემამ ბოდიში მოუხადა ტელევარსკვლავ კიმ კარდაშიანს იმისთვის, რომ მას ძარცვის იმიტაცია დასდო ბრალად. ბოდიში გამოცემის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

შეტყობინებაში ნათქვამია, რომ ინფორმაციის დაწვრილებით შესწავლის, ასევე კარდაშიანის წარმომადგენლებთან გასაუბრების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ტელევარსკვლავი ნამდვილად გაძარცვეს.

გარდა ამისა, სტატიაში მითითებულია, რომ ძარცვის ფაქტი რამდენიმე ფაქტით დასტურდება. მაგალითად, კარდაშიანს არაფერში სჭირდებოდა მისი ინსცენირება სადაზღვევო პრემიისთვის, ვინაიდან მისი ოჯახი ფინანსურ სირთულეებს არ განიცდის.

შეგახსენებთ, რომ მანამდე კარდაშიანმა სასამართლოს სარჩელით მიმართა იმ ცილისწამების გამო, რომლითაც გამოცემამ მას სიცრუესა ქურდობაში დასდო ბრალი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ლინდსი ლოჰანმა საკუთარი კლუბის სტუმრებს დედა აგინა



ათენში საკუთარი ღამის კლუბის გახსნაზე, ამერიკელმა მსახიობმა ლინდსი ლოჰანმა თავის პირველ სტუმრებს სცენიდან დედა აგინა.

მსახიობმა ასეთი სახით უბრძანა ახმაურებულ ხალხს, გაჩუმებულიყო.

– ეს ჩემი კლუბია, ყველამ მოკეტეთ თქვენი... – დაიძახა ლოჰანმა მიკროფონით, რომელმაც თავის დაწესებულებას ლოჰანი დაარქვა.

მომხდარის ამსახველი ვიდეო ჩანაწერი ერთ-ერთმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. უბანი ძველ თბილისში; 2. მონასტერი რაჭაში; 3. ელექტრონული მუსიკალური ინსტრუმენტების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 4. არწივის ძველი ქართული სახელწოდება; 5. კართაგენელი მხედართმთავარი; 8. ირანის საინფორმაციო სააგენტო; 12. ქართული სპორტული გაზეთი; 13. დონ-კიხოტის სატრფოს სახელი; 14. მონების ტანზე დასმული დამღა ძველ საბერძნეთში; 16. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 18. ყვითელი ფერის, მკვრივი, გამჭვირვალე, ფისოვანი მინერალი; 20. ღამის ფრინველი.

**თარაზულად**: 6. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 7. ბალერინას ძირითადი კლასიკური პოზა; 8. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 9. ქალაქის თვითმმართველობის ორგანო იტალიაში; 10. მდინარე ვაშინგტონში; 11. ყველაზე მსუბუქი ქიმიური ელემენტი; 15. ბავშვების მომვლელი უცხოელი ქალი; 17. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 19. ხის ფესვებზე, კუნძებზე მზარდი საჭმელი სოკო; 21. მღვდლის სამოსი; 22. გერმანული ყველი; 23. ოჩამჩირის ძველბერძნული სახელწოდება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

